

# წილისწავი

№ 17.

20 თებეწარლი, 1922 წელი.

№ 17.

## წილისწავი!

წილისწავი საწმუწარო და საეალალო! წილისწავი მტრული თეწასწმის და მუწანათური ვეწარაგობის! წილისწავი საქართველოს დიდი ისწარიული განსაკუღლის დაწყების და რუსეთის კომუწისწურთი რეწოლიუწიის ნამდვილი სახის და ბუნების გამოაწკარავების!

თოვლიანი თებეწრალი, მძიძე წამთარი და საწინელი თეწანწირული ბრძოლა ქართველი ხალხის, რომელიც იცავდა თავის საწმუწობლო კერას,—აი მოვანება ერთი წილის წინეთ დატრიალებული საბედისწარო ამბების.

ამ თეწეში უეწმოიკრა წითელი არმია, რეგორც ქურდი სიბნელეში, ამ თეწეში მან პირველათ დაუპირდაპირა წითელი დროშა—წითელ დროშას, თავის «მუწურ-გღეხური» ლოწუნგები—აწ იმპერიალისწურათ ქეწეული—ნამდვილ გღეხურ-მუწურ რესკუბლიკას და მის დაწკეღლთა დროშებს: თეწრი გიორგის ალამს და სოციალიწმის წითელ ბაირალს უეწრთეწბულს და უეწდღღებულს ქართველ ერში, და ამით დაუპირდაპირა ერეწწულ თავისუფღებას და მუწათა დეწოკრატის ბრწყინეღღე იღეღღებისადმი მისწრაღღებს.

ამ დღიდან—წინეთ დენიკინის შავი ლაწკრის წინაღმღდეგ მეწრძოლი და ამით ერთეწვარი რეწოლიუწიონეწრობის მანტიით უეწმოსილი, იგი

ერთიანათ შავი გახდა, და დენიკინის ბნელი წრაღეების და მისწრაღეების მეწკვიდრე და გამგრძობი უეწქნა.

ტრალიუღი იეღ ეს თებეწრალი ქართული რეწოლიუწიისთეწის, რომელიც სწორი დეწოკრატული გწით მისწრაღოდა მუწათა კლასის ბატონობის დაციღსა და მისი მომავალი იღეღღების განხორციღღებისაკენ, და ტრალიუღი იეღ იგი თეწთ წითელი ჯარისთეწის, რომღღმაც აქ პირველათ იღეღა იუღას ამბორი თავის წინანღელი მოსიხღე მტრების—ერანგელ-მარკოღების.

ამ დღეებში საქართველოს უსიხლო რეწოლიუღია დაეღა გარეშე ძლიერი ხიწტის ქეწე, ხოლო რუსეთის სიხლიანი საწოქალაქო ბრძოლა—დამკერობ რღმებით უეწცეღა, «პროღეტარული მსოღღიო რღმის» საღარველ ქეწე წმიღა რუსული ნაციონალისწური იმპერიალიწში გამეღდა.

აქ გათავღა მთელი ეპოქა საქართველოს რეწოლიუწიური უეწოქეღღების და დეწოკრატული აღმეწენღღობის. ამ დროიდანეე მიიღო გარკვეღლი სახე რუსეთის კომუწიწმის ახალმა ხანამ, რომელიც პოღონეთთან რღმით დაიწღო და რომელიც ხასიათღება უწინაგან საწოქალაქო რღმის დამთავრებით და რუსეთის ნაციონალ-იმპერიალისწური ტენდენციღების საწსახურით.

ბოღსევიკური კომუწიწში დეპატროწა რე-

საქართველოს  
ერეწწეღღი  
აიღღიღთეკა



სეთს, როგორც მისი ნაციონალური მთავრობა, და დაეპატრონა საქართველოს, როგორც დამპყრობელი, მილიტარული ძალა.

ეს იყო უმაღლესი წერტილი ბოლშევიზმის წინმსვლელობის და იმავე დროს შემოტრიალება, თავქვე დაქანება კომუნისტური ტალღის.

და აი ჩვენ ვხედავთ, რომ გაბატონებული რუსის მუშა რტლები ან უკეთ მისი გაბატონებული ნაწილი თვით გაითქვიფა წითელ არმიასი, იქცა შეიარაღებულ ძალათ, ხოლო მუშები, როგორც კლასი, თითქმის სრულიათ გაქრენ წარმოების ნანგრევებ ქვეშ. დამთავრდა წლები დანგრევის, კლასთა მოშლის და ქვეყნის გაპარტახების. გალაღებული არმია, შორეულ სტამბოლის და ინდოეთის დაპყრობის მიზნებით გაბრუნებული, თავს ესხმის რევოლიუციურ საქართველოს, რომელიც მას გზაზე ხვდება და ამ დემოკრატიულ ქვეყანას ანადგურებს. ეს იყო პირველი და უკანასკნელი მიღწევა განადგურებულ რუსეთის, და მას ლოდიკური, ისტორიული რკინის კანონების აუცილებლობით მოცვა სხვა შედეგები რუსეთის შინაგან ცხოვრებისათვის: კომუნისმის უკან დახვევა—კაპიტალიზმის სამეფოსაკენ. მუშათა კლასის დარღვევის კონსტატცია და გლეზობისკენ გადახრა, ეკონომიური განადგურების ცნობა და უსაშინელოსი, უმაგალითო დამშვევა პურით უმდიდრესი ქვეყნის, ერთი სიტყვით პოლიტიკური და ეკონომიური რეგრესი, და უკან-უკან ჩოჩვა.

და აღსანიშნავია იგიც: ამ უკანდახვევასთან ერთად იწყება ცდა რევოლიუციით მიყენებულ პრილობათა მოშუშების... იწყება თხზვა ეკონომიური აღდგენის პროექტების, პოლიტიკური შეპაჩინკების, ევროპის «იმპერიალისტურ» წრებთან მოლაპარაკების, ხოლო ევროპის მუშებზე გულის ატრუების, რადგან კომუნისში ევროპის შეგნებულმა მუშათა კლასმა არ მიიღო, ხოლო ბურჟუაზიას მის წინაშე პირველ-ყოფილმა შიშმა გაუარა. შეიცვალა თვით ევროპის მუშათა კლასის დამოკიდებულება რუსეთის დღევანდელ ხელმძღვანელთადმი. თუ მისი დიდი ნაწილი წინეთ, როცა რევოლიუციის ტალღა მალღა-მალღა იწვედა—იმედით შეყურებდა მას და თანაუგრძობდა—დღეს უკან დახვევის ხანაში—როცა ამ იანუსის რეაქციონური სახე წამოდგა წინ მთელი თავის შედეგებით—უკვე

უარყოფითად თვის მას და მის ტარულ სახეს ეომება.

ღიახ, გასულ თებერვლიდან იწყება ეს პროცესი: ბოლშევიზმის დაახლოვება ბურჟუაზიასთან და დაშორება მუშათა კლასთან. ბურჟუაზიული რევოლიუცია მიდის თავის ისტორიულათ დანიშნულ მიზნისაკენ, ქმნის ახალ ბურჟუაზიას და მისკენ ხრის გადასაცემთ ბატონობის კვრთხს.

საქართველო კი თავის პატარა, მაგრამ შინაარსიანი ცდით დემოკრატიული წვობილების შექმნისა, ღღეს ცველაზე მეტათ ევროპის მუშათა კლასში პოულობს თავის მეგობრებს და თანამგრძობთ. აქ ინასკვება არსებითი, ღრმა, ისტორიული მიზნებით გამოწვეული წინააღმდეგობა საქართველოს და რუსეთის რევოლიუციის. იგი გამოიხატება არა საბჭოთა სისტემის მოწონებისა თუ დაუნებაში, არა ტერორის და სამოქალაქო ომის მიღებასა თუ უარყოფაში, არა, აქ არის გამოაშკარავებული მთელი ისტორიული და კულტურული გზა ორი ერის: ქართველის და რუსის.

პირველი მიიღტვის ერთიანთ ევროპისაკენ და ამიტომ ევროპულ ფორმებში აცალიბებს თავის რევოლიუციურ მონაპოვართ, იგი ამ მზრივ სასვებით უერთდება და უსისხლზორცდება ევროპის კულტურას და მის ცველაზე უფრო რევოლიუციურ კლასს—პროლეტარიატს და ისისხლზორცებს მას. მეორე კი უპირდაპირდება ევროპას—მის ქველ კულტურას—და თავის აზიური სახის გამოჩენაში ცდილობს დაამკვიდროს თავისი «მეობა», თავის დამოუკიდებლობა და განსწავებდა.

ამ ორ მიმდინარეობის შორის ბრძოლა და შეტაკება აუცილებელი იყო. ვინც ებრძოდა ევროპას იგი ვერ მოითმენდა საქართველოს და ვინც ებრძოდა საქართველოს—იგი ამით მტრობდა ევროპას. საქართველოში ევროპა—არა კაპიტალისტური, იმპერიალისტური, არამედ ევროპა კულტურული, თავის კულტურული ცხოვრების ფორმებით და იდეალებით, თავის განვითარებული დემოკრატიული მუშათა მოძრაობით, ღრვებით დაამარცხა წითელ არმიის იარაღმა. მაგრამ ეს იყო პირველი ავანპოსტის აღება, განკერძოებული და განცალკევებული რანზმის დამარცხება. თვით ევროპის წინაშე კი იგივე რუსეთი მიუხედავთ თავის რევოლიუ-





ციონური ღოზუნგებისა—მხოლოდ სისტემატიურ დამარცხებას განიცდის: აქ იგი მუშათა კლასის თვალში მორალურათ კოტრდება და გავლენას სრულიად კარგავს. აქ იგი ბურჟუაზიასთან შეურიგებელ ბრძოლის ნაცვლად უკვე ქედმოხრილი დგას მის წინაშე და მორჩილებას უცხადებს. მაგრამ მათ შორის უკიდრილი არ გათავებულა. ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდება. დაჩოქილი მოსკოვის დიქტატორები ჯერ კიდევ თავის-თავს დამარცხებულათ არ თვლიან, ისინი მხოლოდ «ტაქტიკურათ» იხევენ უკან. და გონიათ შემდეგ ისევ შეტევაზე გადავლენ, გონიათ თავის აწიურ სულს ევროპას მოახვევენ. ანაო ოცნება! აწიური სუსტი ბოლშევიზმის მალა ამომცურებელი ტალა თვით ილესება და იფქვება რევოლიუციის წისქვილის ქვებ შუა.. თვით რევოლიუცია—რუსეთის გაევროპიელების ცდაა და არაა ევროპის გააწიელების. და ბოლშევიზმი—ეს ნაცოფი ამ განწირული ელემენტის—თვითაც განწირულია.

ერთი წელიწადია თითქმის, რაც ბოლშევიზმი შემოვიდა საქართველოში და ქვეყნის ბატონპატრონი შეიქნა. და ამ წელმა გამოააშკარავა, რომ მას არავითარი ნიადაგი არ აქვს ჩვენში. იგი, როგორც ნაცოფი სპეციალურათ რუსულ ნიადაგზე აღმოცენებული ხის, ჩვენში ვერ გადმოინერგებოდა. ხალხმა ის უარცო და მან ხალხი. მოსაშვალე მათ შორის დღეს მხოლოდ წითელი ხიშტია, რომელიც აჩუმებს აბობოქრებულ მასსას. არავითარი რეფორმა, არავითარი შინაგანი სოციალური გარდაქმნა, საზოგადოებრივი გადატრიალება ქართველი ერის წიალში ბოლშევიზმის შემოსვლას არ მოუხდენია. იგი უცხო ხილია და ასეთივე რჩება. ქართველი ხალხი მტკიცეთ და ერთსულოვნათ ადგია თავის ისტორიულ გზას, თავის რევოლიუციით შექმნილ ფორმებს, თავის ცხოვრებასთან შევსებულს და მისგანვე წარმოშობილ დაწესებულებებს და წლობლებას. საბჭოთა რუსეთი აქ დგას ფიზიკურათ, მაგრამ დამარცხებულია მორალურათ, დამარცხებულია როგორც პოლიტიკური სისტემა, როგორც რევოლიუციონური იდეების თავის გარშემო მომფენი. და თვით მის გაკოტრებას ევროპის რევოლიუციურ წრეების თვალში დიდათ შეუწყოა ხელი და დააჩქარა საქართველოს მიმართ გადადგმულმა ავანტიურისტულმა ნაბიჯმა.

მოსკოვის არ უშველა ამ შემბტქტუზმის წახტკს იმ გარემოებამ, რომ იგი საქართველოს გზით აწიას მიადგა, ესე იგი ჩამორჩენილ ქვეყნებს, რომელთა აყოლიების იმედი მას ქონდა. ამათვის ის მეტათ რევოლიუციურია და მეტათ იმპერიალისტური.

და ამ რიგათ ბოლშევიკური რევოლიუცია დღეს მომწედებული თავის დარგლებში, იძულებულია გადადუღდეს, გადატრიალდეს და საბოლოოთ აწ აწიის გზას დაადგეს აწ გაევროპიელებას დაემორჩილოს. და მისთვის, როგორც ბოლშევიზმისთვის, პირველიც სიკვდილია, ისე, როგორც შერე.

საქართველო კი ინახავს დღეს თავის «ევროპიულ სულს» ბრძოლის ცეცხლში, იმ შეკავშირებულ, ორგანიზაციულ წინააღმდეგობაში, და შეკავშირებულ მასსიურ გამოსვლებში მოძალადეების წინააღმდეგ, რომელიც ამ ერთი წლის განმავლობაში ერთი დღითაც არ შეწყვეტილა. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გაევროპიელების გზაზე შემდგარი და ამ ერთი წლის წინეთ იურიდიულათ ევროპის ოჯახში მიღებული საქართველო კვლავ მოიპოვებს დამოუკიდებლობას და თავისუფალ გზას ისტორიული განვითარებისათვის. ამის თავდებია თვით ევროპის გამარჯვება რუსეთში და რუსეთზე. ამის თავდებია უპირველეს ყოვლისა თვით ჩვენი ხალხის შეურიგებლობა და მტკიცე ნებისყოფა, ამის თავდებია ბოლოს თვით ბოლშევიზმის დაუძღურება და ისტორიულათ განწირვა...

## ქართველი ხალხი და რუსის ბოლშევიზმი.

ეს ერთი ხანია მოსკოვის კარნახით ბოლშევიკები საბჭოების «არჩვენებს» ახდენენ საქართველოში. ათი თვის სრული სამხედრო დიქტატურის შემდეგ მათ მოისურვეს ქვეყნისთვის ეჩვენებიათ «საქართველოს მშრომელთა ნება სურვილი» მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების არჩვენებით. განზრახვა იყო ცვლასათვის დაემტკიცებიათ, თითქო ქართველი ხალხი, განსაკუთრებით მისი მშრომელი ნაწილი, კომუნისმს შეურიგდა და წითელარმიელთა უხეში დიქტატურა შეიცვარა და შეისისლხორცა, როგორც ამას ამტკიცებდა ამის წინათ ერთთ-



ვის სიტყვაში ტროცკი. მოსკოვს დღეს ძლიერ ესაპიროება ასეთი «საბუთი» დასავლეთ ევროპის დემოკრატიული წრეების თვალის ასახვევით. ცნობილია, რომ საქართველოს დაპყრობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ევროპის მუშათა წრეებში, რომელთა გავლენა დღეს არც ის მცირეა და რომლის დახმარებით მოსკოვის დიქტატორები ფიქრობენ თავისი წაძვლარი საქმე გამოაკეთონ. ეს ვითომდა არჩევნები მით უფრო საპირო იყო მათთვის, რომ სწორეთ ხსენებული წრეები დაყინებით მოითხოვენ მოსკოვისაგან საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანას და შერეული ინტერნაციონალური კომისიის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხის დაკითხვას მისი ნამდვილი სურვილების გამოსაშკარავებლათ.

და აი, მოსკოვმა ამ მოთხოვნებს დაუპირდპირა «ოკასა» და «ჩეკას» ხელმძღვანელობით წარმოებული არჩევნები საბჭოებისა.

ვინც ცოტათი მაინც იცნობს ბოლშევიკებს და იცის მათი ტერორისტული ბუნება, იმისთვის წინდაწინვე აშკარა იყო, რომ ეს «არჩევნები» ქართველი ხალხის ზედმეტი შევიწროებისა და აწიოების საბაბათ გადაიქცეოდა.

მართლაც, არჩევნების ნიდაგის შესამზადებლათ ბოლშევიკებმა წინასწარ გააჩაღეს საშინელი რეპრესიები. არ დარჩენილა ისეთი ქალაქი ან სოფელი, სადაც მასიური ჭერა არ მოეხდინათ. ათასობით მოწინავე მუშა და გლეხი ციხეებსა და «ჩეკას» სარდაფებში მოათავსეს; მრავალი ხალხი იძულებული შეიქნა გაქცევით და ტყეში დამალვით გადაერჩინა თავი. ამას დაუმატეს ერთი მხრით მოწინავე მუშა-მოსამსახურეების ადგილებიდან დათხოვნა, ან უცხოეთში გადაყვანა—ამით მოიშორიეს არა საიმედო ამომრჩევლები, ხოლო მეორე მხრით მორეკეს მრავალი ხალხი რუსეთიდან და ამრიგათ გააძლიერეს რიცხვი ერთგულ ამომრჩევლთა.

ამ ზომების შემდეგ—ბოლშევიკები დარწმუნებული იყვნენ, რომ გადარჩენილი ნაწილი ქართველი მშრომელი ხალხისა მათ მორჩილებას გამოუცხადებდა და უპროტესტოთ და უდრტივლათ მიიღებდა მონაწილეობას შეხანხლულ არჩევნებში.

მარა ისინი ამ შემთხვევაშიაც ანგარიშში მოსტყუდნენ. ქართველი საზოგადოების ყველა

მიმდინარეობა, მთელი ქართველი ხალხის ბოლო-კოტით შეზვდა ოკუპანტების მიერ დაწინაურულ არჩევნებს. ქართველობას ამ არჩევნებში, თითო-ოროლა გარეწარის გარდა, მონაწილეობა არ მიუღია. ირჩევდნ მხოლოდ რუსის ჯარისკაცები, რუსის ჩინოფიკობა, საზოგადოთ უცხოფლენი—ცველა ისინი, ვინც დაპყრობის შემდეგ კალიასავით შემოესია საქართველოს და თან მოიტანა სიძულვილი ქართველი ხალხისადმი. აი, ვინ აირჩია თფილისის და ბათუმის საბჭოები; აი ვინ ახდნეს ამ ქვათ არჩევნებს ქართველ სოფლებში!

ქართველმა მუშამ და გლეხმა, მთელმა მშრომელმა საქართველომ ამ არჩევნებში გამოააშკარავა თავისი უდიდესი სიძულვილი დამპყრობელებისადმი და ისეთივე უდიდესი სურვილი მონობიდან გათავისუფლებისა. თითქმის ყველა საარჩევნო კრებებზე ქართველობა თავისი წარმომადგენლების პირით პროტესტს და ზიზღს უცხადებდა ბოლშევიკებს, გმობდა ოკუპანტების ძალადობას და საქვეცნოთ აცხადებდა, რომ მას სწამს მხოლოდ თავისუფალი ხალხის არჩევნები და ის იბრძოლებს იმისათვის, რომ საქართველო განთავისუფლდეს დამპყრობელთა ულლისაგან. ასე იქცევიან გადატაკებული მუშები, ასე იქცევიან დაწესებულებათა მშვირმწყურვალე მოსამსახურეები და ასეთსავე პასუხს აძლეს ბოლშევიკებს ქართველი გლეხობა. ისე როგოც წარსულ რევოლიუციონურ მოძრაობის ხანაში, ქართული სოფელი დღესაც შედგრათ უდგას გვერდში ქალაქის დემოკრატიას და მასთან ერთად აწარმოებს განმათავისუფლებელ ნაციონალურ ბრძოლას.

ამნაირათ, საქართველოში ჩვენ ვხედავთ სოფდეპიისათვის უჩვეულო სურათს: მიუხედავთ პოლიტიკური ბრძოლის ელემენტარული პირობების გაუქმებისა, ხალხი მაინც ახერხებს გააკეთოს მწყობრივი პოლიტიკური გამოსვლები და მოწინააღმდეგის სურვილებსა და განზრახვებს აშკარათ დაუპირდაპიროს თავისი გარკვეული ნებისყოფა და ბრძოლის წყურვილი.

და ეს იმიტომ, რომ საქართველოში ბოლშევიკებმა ვერ შესძლეს ის, რაც შედარებით ადვილათ მოახერხეს რუსეთში. აქ მათ ვერ ჩაკლეს საზოგადოება, კოლექტივი; ხალხი ვერ გათიშეს, ვერ გადააქციეს ის ცალკე ინდივიდ-





მეტათ აშინებს. ამიტომ არის, რომ გენუის გაქმემა გაიმართა დიდი და რთული მიწერ-მოწერა, მითქმა-მოთქმა, აწრთა და ინტერესთა ჭიდილი.

დაახლოვებით მდგომარეობა დღეს ასე იხატება:

ლ. ჯორჯი ცდილობს კონფერენცია თავის დროზე შედგეს და მას ხელი გახსნილი ექნეს კონფერენციაზე სამუშაოთ. იგი მწათა კონფერენციის ნაყოფიერათ დამთავრებისათვის ბოლშევიკებს ზოგი რამ დაუთმოს, ოღონდ კი ეკონომიურათ რუსეთის ბაზრით სარგებლობა შესაძლებელი გახადოს ინგლისის კაპიტალისათვის.

საფრანგეთი პირიქით მოითხოვს კონფერენციის შეგვიანებას, თუ სულ დაშლას არა. ამ ნიადაგზე დაეცა ბრიანის სანინისტრო. ამ ნიადაგზე გაიმართა მიწერ-მოწერა პუანკარეს სამინისტროსი ინგლისის კაბინეტთან.

პუანკარე მოითხოვს მოკავშირეთა წინასწარ მოლაპარაკებას და იმ საკითხებზე შეთანხმებას, რომელიც გენუაში უნდა იქნეს წამოყენებული. მას საქირთო მიაჩნია ბოლშევიკებისგან მიიღოს სრული და დამაკმაყოფილებელი გარანტიები იმ პირობების მიღების და შესრულების, რომელიც კანაში იქნა შემუშავებული. იგი მოითხოვს აგრეთვე ვერსალის ხელშეკრულებაზე სიტყვა არ იქნეს დაძრული. ის უნდა სავსებით და ურყევად დარჩეს ძალაში.

ამას ზედ ერთვის ის, რომ გერმანიის დაშვება ვეროპის და კერძოთ რუსეთის აღდგენის საქმეში მას შესაძლებლათ მიაჩნია მხოლოდ იმ პირობით, თუ საფრანგეთ-ინგლისის სამხედრო კავშირი უზრუნველ ყოფს მას გერმანიის მოსალოდნელ რევანშისაგან.

ინგლისი რიგს ამ პირობებისას ეთანხმება, გერმანიის რევანშიდან უზრუნველყოფის თანახმაა, ვერსალის ზავის გადასინჯვის საკითხსაც არ აყენებს, მაგრამ გენუის საკითხებზე წინასწარ მოლაპარაკების და შეთანხმებული გადაწყვეტილებით იქ მისვლას, ზედმეტათ და მანებლათაც თვლის, ვინაიდან ეს დაუკარგავდა კონფერენციას თავის ნაშედეგ ხასიათს, ე. ი. მთელი ვეროპის სახელმწიფოთა გულითად შეთანხმებას გააქარცლებდა.

დადის რიხით მიღის კონფერენციაზე მოსკოვის კომისარიატი. მან თავის დელეგაციაში

შეიგვანა ცველა «საბჭოთა რესპუბლიკების» წარმომადგენლები და ასე იმედი აქვს კაპიტალისტურ დასავლეთს—საბჭოთა აღმოსავლეთი დაუპირდაპიროს. მისი წინა რაზმები—რადეკის და რაკოვსკის მეთაურობით უკვე გამოჩნდნენ ვეროპის კორიზონტზე და დიპლომატიური ფანდებით ცდილობენ ვეროპის სახელმწიფოთა გადაკიდებას. ინგლისი—მათ იციან უკვე მომხრეა რუსეთის ცნობის, რადგან ამას თხოულობს ინტერესი ინგლისის კაპიტალის და ამასვე მოითხოვს მ მილიონი შეკავშირებული მუშათა კლასი. საფრანგეთი ორყოფობს. და აი მოსკოვის ტრუბადურები ამ უკანასკნელს უმღერა. რადეკი თავის ინტერვიუში პირდება საფრანგეთს—ვალების ცნობას, ძველ მეგობრობის განახლებას, კავკასიის და სპარსეთის ნავთში მონაწილეობას, და ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვაზე დროებით გაჩუმებას.

იგი აქეზებს მას ინგლისის პირში არ მისცეს რუსეთი და ამით გემრიელი ლუკმა არ დაკარგოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრება კიდევ: ვერსალის გადასინჯვით, გერმანიასთან ერთათ გაბედულ და შეუპოვარ ნაბიჯების გადადგმას და სხვ. ერთი სიტყვით, აქ განხორციელებულია რუსული ანდაზა «ან მოდი ხელები დაგიკოცნო, ან ცბაში გაგარტყამო».

გერმანიას თავის მხრივ ახალ-ახალ უპირატესობას უქადიან რუსეთში; და ასე ამ რიგათ გენუისთვის «საწიწლარ» «იმპერიალისტების» თანაგრძნობის და დახმარების მოპოვებას ცდილობენ.

მაგრამ მავარი ის არის, რომ სწორეთ ის, რასაც მოსკოვის კომისრები სთავაზობენ პრობლემადიურია, ხოლო რასაც ემუქრებიან უფრო მოსალოდნელი. ამით კი ცხადია მეგობრობა არ შეიძინება.

დღეს საერთო მდგომარეობა მაინც ისეთი შეიქნა ცველა ამ მოლაპარაკებების და გაცხოველებულ აწრთა შეჯახებების გამო, რომ ადვილი მოსალოდნელია კონფერენცია დროებით გადაიდვას. გადადების ინიციატივა უკვე თავს იღება ჩეხო-სლოვაკიამ, მან მცირე ანტანტის სახელმწიფოთა სახელით შესაფერი წინადადებით მიმართა მოკავშირეთ.

გენუის კონფერენციამ არა მცირედი გამოცოცხლება და აქტივობა გამოიწვია მუშათა კლასშიაც. მიუხედავათ იმისა, რომ ინტერნა-





ციონალი დაქუცმაცებულია, და მათი საერთო წონა ევროპის ძალთა სასწორზე ამით შესუსტებული, ისინი მაინც დიდ და გარდაუხვევ ძალას წარმოადგენენ თავის სახელმწიფოში. ლონდონში დღეს მეტათ საგრძნობელია გავლენა მუშების, გერმანიაში სოც. პარტიების, და საფრანგეთშიაც კი, სადაც სოც. ფრთა შედარებით სუსტია, მუშათა ხმის ანგარიშის გაუწევლათ დატოვება შეუძლებელია.

და აი იწყება მუშათა სოციალისტური პარტიების აქტივობა. მათი საერთაშორისო ცხოვრებაში სერიოზული ჩარევა. ყოველი საკითხი კონფერენციის, ეხება ის რუსეთის ცნობას, ევროპის აღდგენას, თუ ვერსალის ზავს, ცხოველ ინტერესს იწყებს მუშათა კლასში და გამოხმაურებას პოპულარს ცველა პარტიებში. ინტერნაციონალები ცდილობენ ამ ნიადაგზე შეთანხმებულ მუშაობას, რის პირველ ცდას 4 თებერვალს ქონდა ადგილი პარიჟში.

აქტიურ საკითხებ შორის ევროპის მუშათა წინაშე დგას საკითხი საქართველოს განთავისუფლებისა. იგი დაკავშირებულია უკვე მათთვის მოსკოვის ცნობასთან და მასთან ხელშეკრულების დადებასთან. ამას მოითხოვს ინგლისის პროლეტარიატი, ამას მოითხოვს საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის და სხვა ქვეყნის მუშათა კლასი.

და არა მარტო მუშათა წრეების, არამედ ფართე დემოკრატიული საზოგადოებრივი წრეების და ცნობილი მოღვაწეების აზრი ერთსულოვანია საქართველოს საკითხში. მის უფლებების უხეშათ გათვლვა არ უნდა შერჩეს რუსეთს.

ეს სიმპატია საქართველოსადმი იქამდე მიდის, რომ თვით ბუღუ მდივანის დანიშვნა მოსკოვის მისიაში წევრათ, როგორც ვითომ საქართველოს წარმომადგენლის, ცხოველ გამოხმაურებას პოპულარს ევროპის პრესაში, რომელიც ამაში ხტდავს მოსკოვის ორპირობას, ბრიკებს, ხოლო ამ ავანტიურისტში, რომელიც საქართველოს წარმომადგენლის სახელს ითვისებს—მხოლოდ მოსკოვის ბრმა იარაღს.

ეს პრესა მოითხოვს, რომ გენუაში საქართველოს სახელით დაშვებულ იქნეს მხოლოდ ნ. ჟორდანიას მთავრობა, რომელიც ერთაერთი კანონიერი წარმომადგენელია საქართველოს ხალხის.

საქართველოს დიპლომატიურმა წარმომად-

გენლობამაც აღძრა ამის გამო ხელახლა წაიშალა ნადო შუანდგომლობა ევროპის სახელმწიფოების წინაშე. შედეგები ამ წერილის დაწერის დროს კიდევ არ არის მოსული. მაგრამ გვგონია, ევროპის მუშათა და საზოგადოებრივი წრეების აზრი თავის გავლენას მოახდენს იმათზე, ვინც წევრებს დღეს ევროპის ბედს.

გენუის კონფერენცია—ყოველ შემთხვევაში ვერ ასცდება საქართველოს საკითხის, ასე თუ ისე დაეცნებას რუსეთის საკითხთან ერთად და ქართველ ხალხის შინაგან სიმტკიცესა და მის წარმომადგენლების ენერჯიკზე ბევრი არის დამოკიდებული მისი ასე თუ ისე გადაჭრა.

## სოციალისტების ურჩილობა.

ევროპის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლათ მოითხოვს ყველა კულტურულ სახელმწიფოების საერთო თანამშრომლობას და ამ თანამშრომლობისთვის მოდუსის გამოწახვას. ევროპის მთავრობები ამ გარემოებას ანგარიშს უწყვენ და ამის შედეგია სხვათა შორის გენუის კონფერენციის მოწვევა. ამავე დროს კი მუშათა კლასი გათიშულია სამ ინტერნაციონალურ შეერთებაში და ამით დაუძლურებულია. მისი ხელმძღვანელები აშკარათ ხედვენ დღეს ამ მდგომარეობის არანორმალობას და მისი გამოწვრების აუცილებლობა სადაოთ აღარ მიაჩნიათ. ამ ნიადაგზე აღმოცენდა მისწრაფება შეერთებულ კონგრესის მოწვევისთვის სოციალისტურ პარტიებისაგან. მაგრამ რომ დოქტორნორობამ, რომელიც ჯერ საკმაოთ ძლიერია ზოგიერთ წრეებში, არ შეუშალოს ხელი ამ მიზნის მიღწევას და კონგრესი მართლა გაერთიანების ორგანო გამოვიდეს და არა უარესი გათიშვის, საფრანგეთის სოც. პარტიის წინადადებით გადაწყდა წინასწარ მოწვეულ ცოფილიცო კონფერენცია იმ სახელმწიფოთა სოციალისტურ პარტიების, რომელთაც ვერსალის ხელშეკრულება და მისი შედეგები ეხება უმთავრესათ. ასეთებია: ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, გერმანია და იტალია. ესენია იმავე დროს მთავარი ლერძი და საფუძველი ყველა ინტერნაციონალურ შეკავშირების, გარდა მოსკოვისა. და მათი გაერთიანება უმწვევს დღიურ საკითხებში, ექვი არაა გაადვილებს ინტერნაციონალის გაერთიანებას. ეს კონფერენცია უნ





და შემდგარიყუ პარიჟში 4 თებერვალს. და იგი მართლაც გაიხსნა ამდღეს. მაგრამ სამწუხაროთ მას ყველა აღნიშნული ქვეყნები ვერ დაესწრენ. გერმანიაში ამ დროს რკინის-გზის გაფიცვებმა შეაჩერა მიმოსვლა და დელეგატები ვეღარ წამოვიდნენ. იტალიასაც სამინისტრო კრიზისი დაუდგა და ყველა პარტიები მისი გადაჭრის მაცადინში იყვნენ.

ამის გამო კონფერენციაზე დარჩენ წარმომადგენლები: ინგლისის (მაკდონალდი, შოუ და სხვ.), ბელგიის (ვანდერველდე, დე ბრიუკერი და სხვ.), საფრანგეთის (რენოდელი, ლონგე და სხვ.) და დაესწრა აგრეთვე ვენის ინტერნაციონალის სეკრეტარი ფ. ადლერი საინფორმაციო მიზნით, რადგან მას დელეგატის მანდატი არ ქონია; ავსტრია არ იყო კონფერენციაზე მიწვეული.

გერმანია-იტალიის დელეგატების მოუსვლელობის გამო, კონფერენციამ გადაწყვიტა მხოლოდ გაცვლა-გამოცვლა ყოფილიყო აზრების, დღიურ წესრიგის შესახებ და საბოლოო დადგენილების გამოტანა კი გადაედვათ დანარჩენი დელეგატების ჩამოსვლამდე.

განსახილველი იყო დანგრეული პროვინციების აღდგენის საკითხი და საერთო მუშათა კონგრესის მოწვევა.

კომუნისტებმა, რომელიც მოწვეულ იქნენ ამ კონფერენციაზე, მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

პირველ საკითხის გამო კონფერენციამ საქიროთ დაინახა ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა და საფუძვლათ მიიღო ამ საგანზე საფრ. სოც. შემუშავებული რეზოლიუცია.

მეორე საკითხის ე. ი. გაერთიანების გამო ერთგვარი აზრთა სხვადასხვაობა გამოჩნდა ვანდერველდესა და ფრ. ადლერს შორის.

პირველი საკიროთ სცნობს ბოლშევიკების დაშვებას კონგრესზე, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრული პირობით: 1) ბოლშევიკებმა ხელი უნდა აიღონ ტერორით მართველობაზე და 2) თავი უნდა დაანებონ სოციალისტების დაჭერას, ხოლო დაჭერილნი გაანთავისუფლონ. ბევრს გონია, რომ ამ პოლიტიკურ კითხვების გვერდის ავლა შეიძლება და შეიძლება პირდაპირ იმ კონკრეტულ საკითხების დაყენება, რომელიც კონგრესზე დაისმება, განაცხადა ვანდერველდემ, მაგრამ ეს თავის მოტყუებაა. თქვენც რომ არ მოისურ-

ვით, განა საქართველოს და სომხეთის წარმომადგენელი არ დასვამენ საკითხს მათი ქვეყნის ასე უდიერათ დაპყრობის შესახებ? რას უპასუხებთ მათ? ნუ თუ თქვენც არ შეუერთდებით მათ მოთხოვნასო. ასევე დაყენებენ საკითხს სოც.-რევოლ. და რუსეთის მენშევიკები; რომელთა ამხანაგები ციხეებში იტანჯებიან.

ცხადია კომუნისტებმა უნდა წინასწარ შეასრულონ ეს მინიმალური პოლიტიკური პირობები და მხოლოდ მაშინ მოვიდნენ კონგრესზეო.

განსხვავებული პოზიცია დიქირა ფრ. ადლერმა. მან გააშუქა განსხვავება მე-2 ვენის და მოსკოვის ინტერნაციონალის პრინციპებ შორის და განაცხადა, რომ გაერთიანება შეიძლება არა ამ სადაო პრინციპიალური საკითხების წამოყენებით, არამედ მხოლოდ იმ კითხვების გარკვევით, რომელიც მთელი ქვეყნის მუშებს თანაბრათ აინტერესებს და რომელიც დაუცონებლივ პრაქტიკულ გადაჭრას მოითხოვსო. შემდეგ დაუმატა, რომ მომავალ კონგრესის შესახებ უნდა მოილაპარაკონ მე-2 და ვენის ინტერნაც. ბიუროებმა—და ერთგვარ შეთანხმებას მიაღწიონო.

დე-ბრიუკერმა კატეგორიულათ განაცხადა, რომ ის ბოლშევიკებს არ ცნობს მუშათა კლასის ინტერესების დამცველათ. ინგლისის დელეგატებმაუ უარყოფითი შეხედულება გამოსთქვეს ბოლშევიკების მოღვაწეობაზე და მათგან ამ მოღვაწეობის ძირითადი შეცვლა აუცილებელ პირობათ აღიარეს მათთან თანამშრომლობისთვის. საფრ. დელეგატი რენოდელი შეუერთდა სხვების აზრს და დაუმატა, ბოლშევიკებს თუ სურთ საერთო კონგრესზე მონაწილეობა—მათ ერთი უნდა აასრულონ: ესაა დადებული პირობის ასრულება.

ბოლოს თათბირმა მისალმების წერილი გაუგზავნა საფრანგეთის სოც. პარტიის ვეტერანს, აწ მძიმეთ დავათმცოდნებულ ყ. გელს.

შემდეგ წაკითხულ იქნა მხურვალე წერილი ვან-კალის, პირველ ინტერნაციონალის ერთ წევრთაგანის.

აი ეს წერილი:

«ძვირფასო ამხანაგებო!

გავლით ვიმყოფები რა პარიჟში და მივდივარ დასასვენებლათ აღმოსავლეთის ერთ-ერთ ქვეყანაში, მე ნებას ვაძლევ თავს ორიოდ სიტყვა ვუძღვნა თქვენს კონფერენციას, რომლის





### საზრანგეთის კომუნისტები.

შარშან ქ. ტურის კონგრესზე ორათ გაილა საზრანგეთის პარტია: მას გამოეცნენ კომუნისტები მოსკოვის კარნახით და საკუთარი პარტია დაარსეს ბოლშევიკების სასიქადულოთ და მუშათა კლასის სამწუხაროთ.

ამ განხეთქილებას მოყვა კომუნისტების გამალბული იერიშები შრომის კონფედერაციაზე, რომელიც ერთათ-ერთი ძლიერი და მასიური მუშათა ორგანიზაციაა საფრანგეთში, რადგან სოც. პარტია, ორგანიზაციულათ ლოველთვის შედარებით სუსტი იყო და მასსაზე საკმაოთ მოწყვეტილი.

დამრღვეველმა მუშაობამ მიალწია კიდევ რამდენიმეთ მაინც თავის მიზანს და ლილში შრომის კონფედერაციის კონგრესზე დამარცხების შემდეგ, კომუნისტებმა შესძლეს რკინისგზის კავშირის ორათ გაცოფა. ამ რიგათ პარტიულ დავას—პროფეს. კავშირებში დავა და განხეთქილებაც დაერთო.

ცხადია ეს დიდათ ასუსტებს მუშათა მოძრაობას და ფრთას ანხამს საფრანგეთის რეაქციონურ და შოვინისტურ წრეებს, რომელთაც ცველაზე უფრო ძლიერათ აქვთ დღეს ფეხი მომაგრებული.

მაგრამ განხეთქილების ავტორთაც არა აქვთ დღეს საქმე კარგათ. ერთი წელიწადი გავიდა ამ გაცოფის შემდეგ და ამ ხნის განმავლობაში უკვე საკმაოთ გამოჩნდა მათი ნორალური სისუსტე და მოსკოვის დიქტატურის ბრჯალების შედეგებიც.

სოციალისტების კონგრესი დეკემბერში დი ერთსულოვნებით ჩატარდა, ღრმა და სერიოზული პოლიტიკური საკითხების გადაჭრა და პარტიის დიდი წრდის და მტკიცე მთლიანობის აღნიშვნა უნდა ჩაითვალოს მის დამახასიათებელ თვისებათ.

სამაგიეროთ სულ წინააღმდეგი შთაბეჭდილება დასტოვა კომუნისტთა კონგრესმა, რომელიც ამ იანვრის პირველ ნახევარში შეიკრიბა მარსელში.

ამ კონგრესზე აშკარათ გამოჩნდა საფრანგეთის კომუნისტების სრული დეგრადაცია, მათი შინაგანი დაშლა და გარეგნულათ შეკოწიწება. ეს არც გასაკვირველია. შიგნი კომუნისტებში სამ შთავარ მიმართულებას აქვს ადგილი: ლე-

შედეგები ჩემთვის ასე ძვირფასია. როგორც პირველ ინტერნაციონალის ერთ მომსწრეთაგანს, ზედმეტათ ნუ ჩამითვლით, ამ წერილის გამოგზავნას.

ამ ნახევარი საუკუნის წინეთ დავესწარი მე ჩვენი დიდი მასწავლებლის კარლ მარქსის ინტერნ. საზოგადოების დარღვევას ქ. გააგაში. იმ საღამოს მე არ მიტირია, მაგრამ თვალები ტრემლებით მქონდა საესე და უიმედობით მოცული მწვავე ტკივილებს განვიციდიდი.

და ეხლა, მეტათ ვინემ ოდესმე ისტორიაში, საჭიროა და საშური სოციალისტების ძალთა გაერთიანება.

რადგან დღეს დგას საკითხი იმ საზოგადოების განახლების, რომელსაც ძვალბრილში აქვს გამჯდარი გახრწილება, საკითხი მილიტარიზმის მოსპობის, რომელიც ხელახლა აღორძინდა მიუხედავათ იმისა, რომ გვამების მთები დააყენა და საკითხი ხანგრძლივი მშვიდობიანობის დამყარების, რომლის შექმნა მხოლოდ სოციალისტებს შეუძლია.

მე მგონია, რომ ამ მნიშვნელოვან კონფერენციის განმავლობაში თქვენ თავს დაგტრიალებენ ჩვენი ძვირფასი მიცვალებულები, რომ თქვენ შორის არიან კარლ მარქსი, ჟან ჟორესი, ვ. ადლერი, ც. დუჰჰე, ლიპკნეხტი ბებელი და გიმეორებენ თავიანთ ისტორიულ სიტყვას:

«პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!»


და ამ შედეგებს თქვენ მილწევთ, თუ გამადიდებელ შუშით არ დაუწვებთ ცქერას იმას, რაც თქვენი გამყოფელია, და თვალსა და გულს მიპაყრობთ. იმ დიად პრინციპებს და წმინდა მოვალეობის შეგნებას, რომელიც თქვენი შემავრთებელია.

თქვენი კონფერენციის ხელშია დღეს უმთავრესათ მომავალი სოციალისტურ-დემოკრატიული ინტერნაციონალის, ესე იგი კაცობრიობის ახლო მომავალი.

ძმური საღამით ჰ ვან-კალი.

ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონფერენციაზე და ერთხელად დადგენილ იქნა მისი გამოქვეყნება.

კონფერენციის მუშაობა დასრულდა 5 თებერვალს. დადგენილებები არ გამოუტანიათ, რადგან გერმანიის და იტალიის სოციალისტებმა ვერ მოუსწრეს. ამიტომ იქვე გადაწდა ახალი კონფერენციის მოწვევა მახლობელ დღეებში ქ. ფრანკფურტში აღძრული საკითხების დასაბოლოვებლათ.







როცა და სუვარინის ჯგუფი, რომელნიც მოსკოვში გამოჭრილ ნამდვილ ბოლშევიკებს წარმოადგენენ და მოსკოვის კომინტერნს ყველაფერში ბრმათ ემორჩილებიან. ანარქო-ბუნტარული ჯგუფი, რომელმაც თავი იჩინა ამ პარტიის გამოყოფის შემდეგ და რომელიც უარყოფს პარლამენტარიზმს, ცოველგვარ რეფორმას და მუდამქამს ადგილისა და გარემოების მიუხედავად მზათა სოციალური რევოლიუცია მოახდინოს, ცოველ შემთხვევაში—ქუჩაში ერთი ვაიუშველებელი ასტეხოს. არის მემარჯვენე ჯგუფიც, თუმცა სუსტი, რომელსაც პრაქტიკული ყოველ-დღიური მუშაობაც აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია.

მაგრამ ეს დაყოფა საერთოდ მკრთალია იმ იდეური და თეორიული დაკნინების გამო, რომელსაც განიცდის საფ. კომუნისტები. არც ერთ მიმართულებას არა აქვს თავის დამუშავებული და დამკვიდრებული შეხედულება, არა აქვს გათვალისწინებული არც სხვა მიმდინარეობის ნამდვილი სახე. საერთოდ მთელი ეს კომუნისტური პარტია მოსკოვის ფრანკულოგით იკვებება და ძველ პრაქტიკულ მოღვაწეობას განაგრძობს. იგი შედის პარლამენტში, მუშაობს მხოლოდ როგორც ლეგალური ოპოზიცია, არ ადგენს არალეგალურ წრეებს, არ ქმნის კავშირებში კომინაჩიკებს და სხვ. ერთი სიტყვით ცნობილ 21 მუხლს სიტყვით აღიარებს, საქმით არ ასრულებს და ვერც აასრულებს. მოსკოვიც მის ამ ორჭოფობას ძალაუვნებურათ ურიცხვად და «ავტონომიას» უთმობს, რთა ეს უკანასკნელი ევროპიული შტოც არ მოუტდეს და არ გაეპაროს.

აი მაგალითათ პარტია რეფორმებისთვის თავის მტერევენს დიდ ცოდვათ თვლის კომუნისტისთვის. და როცა დადგა სოციალისტებში საკითხი დანგრეულ რაიონების აღსადგენათ ბურჟუაზიის დაბეგვრის—ჭუმანიტემ რიხით განაცხადა: ეს უაზრობაა. ბურჟუაზია ხომ ამ შეწერილ გადასახადს მუშების კისრიდან აიღებს. ამ რიგათ პირდაპირ გადასახადებს იგი უარყოფით ხვდება. მაგრამ საპარლამენტო ფრაქცია იმავე კომუნისტების, დიდის ამბით უჭერს მხარს და მოითხოვს ბურჟუაზიის დაბეგვრას: ვინაიდან იცის, რომ უამისოთ მასსაზე ის მცირე გავლენაც დაეკარგება, რომელიც აქვს.

აი ასეთია კომუნისტების პარტია საფრან-

გეთში. მისი იდეური უფერულობა—თავდები იყო იმის, რომ ცრილობაზე ეველა რეზოლიუციები ზოგადი ფრანების რახარუხისა და ტრაფარეტული დებულებებისაგან იქნებოდა შემდგარი და ერთხმათ მიღებული: მათ საკრიტიკოთ ვინ დაატანდა ტენის ძალას!

სამაგიეროთ აღიქოთი ასტეხა ორგანიზაციულმა საკითხმა.

საქმე იმაშია, რომ მოსკოვმა ნებაზე მიუშვა საფრ. კომუნისტები, მაგრამ მათი სხვა გზით ხელში ჩაჭერის იმედი არ დაუკარგავს. პირიქით იგი ამით სულდგმულობდა.

და აი კომინტერნის მესამე კრებაზე გასულ წელს საფრანგეთის დელეგაციას მოსკოვმა ჩააგონა, რომ საფრანგეთის წარმომადგენლათ ცოფილიცო არა პარტიისგან არჩეული პირი (პარტიას ვერ ენდო) არამედ თვით მოსკოვის ჩვენებით დელეგაციისაგან დატოვებული სუვარინი, ნამდვილი ბოლშევიკი. დელეგაცია ასეთ მცირე სამსახურზე უარს როგორ ეტეცოდა «მსოფლიო რევოლიუციის» ცენტრს და ასე სუვარინი გახდა საფრ. კომუნისტების დელეგატი კომინტერნის აღმ. კომიტეტში.

აქედან იწყება სუვარინის «ბულუბების» და განკარგულებების ეპოქა. პარიკს ცოველდღე მოსდის ახალ-ახალი მითითება—პარტიის თითქმის ყველა მეთაურების გაძევების, ზოგის მემარჯვენეობისთვის, ზოგის ნამეტანი მემარცხენეობისთვის. მაგრამ საფრ. კომ. ცეკას ამის შესრულება რასაკვირველია არ შეუძლია, თუ კისერის მოტეხა არ უნდა. და უკმაყოფილება სუვარინის მიმართ იზრდება მასსაში.

ცრილობისთვისაც სუვარინს მზათ აქვს მორიგი ორდერი ზინოვიევის პარტიის ორგანიზაციული გადაკეთების შესახებ. სულ ცოტა რამ არის საჭირო: ცეკას წევრთა რიცხვი გამრავლდეს 36-მდე, და აირჩეს პოლიტიბიურო 5 კაცისაგან, რომელიც განაგებს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. ხოლო ცეკა შეიკრიბება თვეში ერთხელ.

ცხადი იყო მოსკოვს ამ 5 კაცის შოვნა და დამორჩილება ეცოდოდა მთელ პარტიაში მათი დიქტატურის დასამყარებლათ, მაგრამ საფრანგეთის მუშათა ტრადიციამ, რომელიც გაცვა კომუნისტურ პარტიას, ამის საშვალეება არ მისცა მოსკოვს.

კონგრესმა ეს გეგმა მოწიწებით უარყო: მოს-



კოვს აქებდენ, სუვარინს აძაგებდენ: თავის-თავი თვითონ დაინიშნაო და ბოლოს ც. კ. არჩევნების დროს სუვარინი სულ არ მოხვდა არჩეულთა რიცხვში.

უფრო ინსტიტუტურათ, უფრო მონური გაიძვერობით, ვინემ გაბედული ოპოზიციით, მაგრამ მოსკოვის ინტრიგა უკუგდებულ იქნა. მაგრამ ეს არას შესძენს არც მოსკოვის სახელს,

არც საფრანგეთის კომუნისმის ვაჟსკოლის მუშაობას. განხეთქილება და დაშლა ამ პარტიის დღეს უკვე ნათელია და კიდევ საკითხია, ვინ ვის გაასწრებს: კრემლის დიქტატორები თუ პარიჟელი მოწადეები. მაგრამ ერთი კი ცხადია: საფრანგეთის ნიადაგზე ისევე ვერ ხარობს კომუნისმი, როგორც დანარჩენ ევროპაში.

## საქართველო და ევროპა.

### ინგლისის მუშები და საქართველოს თავისუფლება.

შეერთებულმა ნაციონალურმა საბჭომ, რომელიც წარმომადგენელია მუშათა პარტიის, ტრედუნიონების (პროფეს.) კავშირების და თემთა პალატის მუშათა ფრაქციის, მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ადასტურებს დიდი ბრიტანიის მუშათა კონფერენციის მიერ მრავალგზით გამოტანილ დადგენილებას, რომ ტერიტორიალური საკითხების დამაკმაყოფილებლათ და მტკიცეთ მოწესრიგება შესაძლებელია მხოლოდ სახალხო დემოკრატიული და თავისუფლათ არჩევნების საშუალებით.

საბჭო აღიარებს, რომ ეს პრინციპი უნდა გამოცხადებულ იქნეს იმ საკითხშიაც, რომელიც ეხება საქართველოს ეროვნულ მდგომარეობას და დაბეჭდით მოითხოვს, რომ ინგლისის მთავრობამ, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, გამოატანინოს გენუის კონფერენციას ისეთი დადგენილება საქართველოს საკითხის გამო, რომელიც შეეფერება ამ დემოკრატიულ პრინციპს.

### საქართველოს დემოკრატიზაცია.

სტამბოლის გაზეთებმა დაბეჭდეს შემდეგი რადიო:

«მოსკოვი, 12 თებერვალი. ინგლისის მუშათა პარტიის ბელადმა ჰენდერსონმა გადასცა კრასინს შემდეგი რეზოლიუცია: «ნაციონალური შეერთებული საბჭო, რომელიც წარმომადგენს კონგრესზე მუშათა პარტიას, განმეორებით იცავს იმ აზრს, რომელიც დრო გამოშვებით არა ერთხელ გამოსთქვეს მსგავსმა ნაციონალურმა კონფერენციებმა, რომ მხოლოდ დაინტერესებული ვრის თავისუფალ დემოკრატიული წესით ხმის მიცემას შეუძლია გადასურას

სასურველათ სადაო კითხვები. ამიტომ საბჭო, ინგლისის მუშათა კლასის სახელით აცხადებს, რომ ეს პრინციპი უნდა იქნეს დაცული დასმულ საკითხის—საქართველოს ნაციონალურ მდგომარეობის შესახებ და მოთხოვს, რომ ინგლისის მთავრობამ, რომელმაც იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, გადასწვიტოს გენუის კონფერენციაზე საქართველოს საკითხი თანახმათ დემოკრატიული პრინციპებისა. ჰენდერსონმა აცნობა აგრეთვე კრასინს, რომ ეს რეზოლიუცია გაეგზავნა ლოიდ-ჯორჯსა და ნოე ჟორდანასს».

ამის გამო სტამბოლის გაზეთები შენიშნავენ—ინგლისის მუშები, რომელზედაც ბოლშევიკები მთელ თავის იმედებს ამყარებდენ, მოითხოვენ მოსკოვისგან საქართველოს განთავისუფლებას და ეს კი ბევრს ნიშნავსო.

### გენუის კონფ. მოწვევის წინასწარი პირობებში და საქართველო.

კუანკარემ ინგლისის მთავრობას გადასცა ნოტა, რომლის თანახმათაც უნდა იქნეს მოწვეული გენუის კონფერენცია. საფრანგეთის მთავრობა კონფერენციის მოწვევის ერთ აუცილებელ პირობათ მოითხოვს, რომ მასში მონაწილეობა მიიღოს ხალხთა ლიგამაც. ამ ნოტას ინგლისის პრესა უკმაყოფილებით შეხვდა. ამის გამო საფრანგეთის ოფიციალური სააგენტო «ჰავასი» განმარტებას იძლევა და სხვათა შორის სწერს: საფრანგეთს ამით სურს მხოლოდ უზრუნველცოს გენუის კონფერენციის გამარჯვება. ეს კი შეუძლებელია ისე, თუ მასში ხალხთა ლიგამაც არ მიიღო მონაწილეობა. მაგალითათ რუსეთს უნდა ილაპარაკოს კონფერენციაზე არა მარტო თავის სახელით, არამედ მის მიერ დაპყრობილ საქართველოს სახელი-





თაც, რომლის დემოკრატიული მთავრობაც ნაცნობია ერთა ლიგისაგან. ამიტომ საქიროა, რომ ამ საკითხის შესახებაც იქნეს გამომუშავებული საერთო აზრი ერთა ლიგასთან შეთანხმებით.

**ი. წარმართული ინგლისში.**

ინგვარში პარიზიდან ლონდონში წავიდა ირაკლი წერეთელი, რომელსაც საქარ. მთავრობის მიერ დაევალა საქართველოს საკითხის გარშემო იქ მუშაობა. მან უკვე ინახულა მუშათა პარტიის ხელმძღვანელები ჰენდერსონი და სხვები და აგრეთვე სხვა საზოგადო მოღვაწენიც, რომელთაც გააცნო საქართველოს საკითხი. ამ წერეთელს ცველანი თანაგრძნობით შეხვდნენ და აღუთქვეს შესაფერისი დახმარება.

**ინგლისური პრესა საზოგადოების არჩევნების შესახებ.**

ინგლისური გაზეთები აღნიშნავენ თუ როგორი სისტემით მოახდინეს ბოლშევიკებმა საქართველოში საბჭოების არჩევნები, როგორი რეპრესიები შემოიღეს, როგორ ამწყვდევდნენ ქარხნებში მუშებს და როგორი ერთსულოვნობით გამოუცხადა მთელმა ქართველმა ხალხმა ბოლშევიკების არჩევნებს ბოიკოტი.

**საფრანგეთის რადიკალური საქართველოს დამოუკიდებლობას იცავენ.**

საფრანგეთში გარდა სოციალისტებისა და მუშებისა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს სხვა წრეებიც გამოეხმაურნენ და ამ უკანასკნელათ აშკარათ იცავენ მას. მაგალითათ რადიკალური პარტიის გაზეთი «ერ ნუველი» 11 თებერვლის ნომერში სწერს: საბჭოთა მთავრობა დაეცა საქართველოს, დაიპყრო იგი, გააუქმა საცაფელთაო არჩევნები და შემოიღო საბჭოთა რეჟიმი. მოსკოვმა საქართველოში შექმნა «ეგრეთ წოდებული მთავრობა» და მით ფიქციურად გათელა ქართველი ხალხის უფლება. ამიტომ გენუის კონფერენცია ვალდებული იქნება შეასრულოს კანის რეზოლიუციის მეექვსე მუხლი და მოსთხოვოს ბოლშევიკებს საქართველოდან ჯარის გაყვანა. თუ ასე არ მოიქცა იგი, მაშინ მოხდება დაკანონება ისეთი მდგომარეობის რომელიც ძირიანათ ეწინააღმდეგება ამ მუხლს. თავისთავად ცხადია აგრეთვე ისიც, რომ გენუის კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენლათ ვერ იქნება დაშვებული ხე-

ლოვნურათ შექმნილი «საქართველოს დემოკრატიის» დელეგატი, რომელიც მოსკოვს სურს მოიყვანოს. საფრანგეთი, როგორც ტრადიციულათ დამცველი დემოკრატიული პრინციპებისა, არ მისცემს არავის დემოკრატიის ჩახრობის ნებასა.

მილიუკოვის გაზეთი «პოს. ნოვ.» ამის გამო სწერს: ჩვენ სავსებით ვეთანხმებით საქართველოს შესახებ საფრანგეთის რადიკალების გაზეთს, მაგრამ მან იგივე პრინციპი გაავრცელოს დანარჩენ დამოუკიდებელ რესპუბლიკებზე და აგრეთვე რუსეთზე და ამავე ლოლიკის ძალით ბოლშევიკები ნუ იქნებიან დაშვებული როგორც რუსეთის წარმომადგენლნი კონფერენციაზე. მილიუკოვის გაზეთს ავიწყდება ის, რომ ბოლშევიკები რუსეთში 4 წელია ბატონობენ რუსის წითელი არმიისა და რუსის ხალხის საშვალებით, საქართველოში კი, ისინი მოვიდნენ რუსის «შტიკის» საშვალებით, ხოლო ქართველი ხალხი მათ ებრძვის და ახლოს არ იკარებს და თუ მაინც ბატონობენ აქ, მხოლოდ და მხოლოდ რუსის წითელი არმიისა და რუსის მოხელეების წყალობით. ცხადია ამ ორ მდგომარეობის შორის დიდი განსხვავება არის.


**ჩიჩხინის ნოტა და ქართველები.**

ფრანგულ გაზეთ «ტან»-ში მოთავსებულია შემდეგი ცნობა:

5 თებერვალს მოხდა კრება პარიზში მცხოვრებ ყველა ქართველების, განურჩევლათ პარტიული მიმართულებისა, თავმჯდომარეობდა ბ-ნი ვეშაპელი. კრებამ განიხილა საკითხი საქართველოს წარმომადგენლობის დაშვების შესახებ გენუის კონფერენციაზე და ჩიჩხინის ნოტა, რომელიც ამავე საგანს ეხება და მიიღო შემდეგი დადგენილება:

- 1) გენუის კონფერენციის მიზანი,—ზავი და ეკონომიური აღდგენა ევროპის, აუცილებლათ ზოითხოვს კავკასიის ერთა ნაციონალურ უფლებების აღდგენას.
- 2) საქართველო, რომელიც მრავალ საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, და დღეს იურიდიულათ არის ცნობილი, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა, უნდა დაშვებულ იქნეს გენუის კონფერენციაზე.
- 3) «საქართველოს კომისარი» ბ-ნი ბუღუ





მდივანი, რომელიც, როგორც ამბობს ჩიჩერი-ნის ნოტა, ჩარიცხულია რუსეთის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის დელეგატთა შორის გენუის კონფერენციაზე დასასწრებათ, არის არა საქართველოს წარმომადგენელი, არამედ ბოლშევიკური რუსეთის აგენტი, როგორც ის იყო წარსულ წელს მის ოფიციალურ წარმომადგენლათ ანგორაში.

მართლაც საბჭოთა კომისრები საქართველოში, რომელთაც მეთაურობს და თავმჯდომარეობს ბ-ნი მდივანი, წარმოადგენს მხოლოდ კომუნისტურ ორგანიზაციას, რომელიც შემოვიდა საქართველოში რუსეთის საბჭოთა ჯარებთან ერთად, და დღევანდლამდე განაგებს ქართველ ხალხს ამავე უტხო საოკუპაციო ჯარების საშვალებით. ქართველები მუდამ იბრძვიან ბოლშევიკების წინააღმდეგ, რასაც ამოწმებს ის გარემოება, რომ უკანასკნელ საბჭოთა არჩევნებს ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა (ს.-დ., ს.-ფ., შეერთებ. ნაც.-დემ. და სხვ.) საერთო ბოიკოტი გამოუცხადეს, რომ ქალაქებში მუშებმა გაფიცვით უპასუხეს ბოლშევიკების ტიჩანას, ხოლო გლეხებმა სოფელში—იარაღით ხელში.

4) საქართველოს ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლათ გენუის კონფერენციაზე, როგორც ეს სისწორით იყო აღნიშნული კანონში საფრანგეთისა და ბელგიისაგან, შეიძლება იქონს მხოლოდ საქართველოს დემოკრ. რესპ. დამფ. კრების მიერ არჩეული მთავრობა ნ. ყორღანიასი, რომელიც რუსის არმიის შემოსევის შემდეგ წამოვიდა საზღვარ-გარეთ და იმყოფება ამ ქამათ ქ. პარიჟში, სადაც საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიების შეთანხმებით, ხელმძღვანელობს ქვეყნის განთავისუფლების პოლიტიკას, რომელიც საშვალებას მისცემს საქართველოს მიაღწიოს თავის ისტორიულ მიზანს და დაიჭიროს სათანადო ადგილი ევროპის ხალხთა შორის».

**ძმური დახმარება.**

ევროპის სახელმწიფოები და აგრეთვე სხვებიც საქართველოს უწევენ თანაგრძნობას არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც: მაგალითათ გასული წლის სექტემბერში საბერძნეთის მთავრობამ თავის ხარჯზე მიიღო 20 ქართველი იუნკერი, ისინი ათინაში სწავლობენ სამხედრო

სასწავლებელში, საბერძნეთის მთავრობა და ხალხი დიდს თანაგრძნობას იჩენენ მათადმი.

იმავე წლის დეკემბერში პოლონეთის მთავრობამ იკისრა 25 იუნკერის თავისი ხარჯით აღზრდა; ვარშავაში ქართველ იუნკრებს დიდი პატივისცემით ეპყრობიან, მათ ცალკე საღამოც კი გაუმართეს, რომელზეც პოლონეთის გენ. შტაბის უფროსი დავსწრო და სიტყვით მიმართა და სხვათა შორის უთხრა: მართალია თქვენ ეჭლა სამშობლოს მოშორებული ხართ, მაგრამ იმედი უნდა ვიქონოთ, რომ თქვენ ისევ დაბრუნდებით თავისუფალ საქართველოში, ხოლო მანამდის იმედი ქონდეთ ჩვენი მთავრობა და ხალხი თქვენ არ გაგრძნობიებს, რომ სამშობლოს მოწყვეტილი ხართო.

ამა წლის იანვარში პოლონეთის მთავრობამ აცნობა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს კონსტანტინოპოლში, რომ შეგიძლიათ გამოგზავნოთ ჩვენს ხარჯზე 60 ქართველი აფიცერი, რომლებიც პოლონელ აფიცრებთან ერთად გაივლიან განმეორებითი კურსს ფრანგული სამხედრო სისტემის მიხედვითო. ქართველი აფიცრები ამ მოკლე ხანში გაემგზავრებიან პოლონეთში სტამბოლიდან.

ჩეხო-სლოვაკიის მთავრობამ იკისრა 50 ქართველი სტუდენტის თავისი ხარჯით აღზრდა. პრაგაში მყოფი ქართველი ლტოლვილები, რომელთაც საშუალო სასწავლებელი ქონდათ გათავებულები უკვე შეუდგნენ მეცადინეობას, ხოლო 20 კაცი ამ მოკლე დროში ვაიგზავნება სტამბოლიდან. გარდა ამისა ჩეხო-სლოვაკიის მთავრობამ პრაგაში მყოფ საქართველოს წარმომადგენელს გადასცა იქ მყოფ ქართველ ემიგრანტებისთვის ერთდროული დახმარება ფულათ.

**სტამბ. გაზ. „ბოსფორი“ და საპარ.**

სტამბოლის გაზეთ «ბოსფორში» მოთავსებულია მთელი რიგი წერილები, რომლებშიაც აღნიშნულია საქართველოს და საერთოდ კავკასიის უდიდესი მნიშვნელობა ევროპისათვის და რომ საქართველოს უფლება ადღგენილ იქნეს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, რადგან მან დაამტკიცა, რომ აქვს შეძლება და უნარი ეკონომიურათ და პოლიტიკურათ თავის მოვლის და გაძღოლის.



# ლაკროზილ საქართველოში



გვარდიის დღე თფილისში.

(12 დეკემბერი 1921 წელი)

ყველა ის დღეები და მომენტები, რაც ქართველი ხალხის მეხსიერებაში მომგონებელია საქართველოს სამი წლის დამოუკიდებელი არსებობის, დღეს, სამშობლოს უტბო ძალთა მიერ დაპყრობის შემდეგ, გადაიქცნნ ნამდვილ ეროვნულ დღეებათ. თვით მიუფალ მთებში და მიყრუებულ სოფლებშიაც კი ხალხი ერთსულღოვანად ეხმაურება ერის სუფერენობის და დემოკრატიის თავისუფლების დიდ დღეებს.

ერთი ასეთი დღე საქართველოსთვის არის 12 დეკემბერი. ის საქართველოს სახალხო გვარდიის დღეა. ამ დღეს 1917 წელს, თფილისის მუშებმა აიღეს არსენალი, ხელთ იგდეს თფიარალი და შეიარაღებულები შეუდგნ დემოკრატიის ფრონტების გამაგრებას, თავდასხმელ ძალთა მოგერებას და რევოლიუციის მონაპოვართა დაცვას. სამი წლის განმავლობაში გვარდია გადაიქცა სახალხო ორგანიზაციათ, ის შეიარაღებული ქარხნის მუშების და ღარიბ გლეხკაცობის სამხედრო რაზმი იყო. მისი დროშა საერთაშორისო მუშათა კლასის წითელი დროშა იყო.

სახალხო გვარდია რესპუბლიკის ჯართან ერთად უმთავრესი დასაყრდნობი ძალა იყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის. ათეულ წლობით რევოლიუციონურ ბრძოლაში გამობრძმედილი მუშები იცვენ მისი მედროშენი და მათი ძალა იართან ერთად იყო უმთავრესად რევოლიუციონური შეგნება და ღრმა რწმენა დემოკრატიზმით სოკიალიზმისაკენ სვლისა.

ამისთვისაც იყო რომ რუსეთის საოკუპაციო ძალებმა დაპყრობის პირველი დღიდანვე განსაკუთრებული რეპრესიები შემოიღეს გვარდიის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. თითქმის მთელი მთავარი შტაბის, საოლქო და რაიონული შტაბების შემადგენლობა, რომელთა 90 პროცენტი ქარხნების ან სოფლების მუშებია, აჯერ მეცხრე თვეა ციხეებში სხედან. მრავალი ცოფილი გვარდიელი, რომელთაც სდევნის რუსეთის ჯარები, გადახვეწილი არიან თავის სახლკარიდან და საქართველოს მთებში და ტყეებში იფარავენ თავს. ერთი სიტყვით დამპყრობელნი მთელ თავის ენერგიას არ ზოგავენ, რომ სა-

ქართველოს დემოკრატიის უმთავრესი დამცველნი შემეუსრონ და მუშათა კლასის ძალა წელში გასტეხონ.


ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ დღეს საქართველოში და უმთავრესად კი თფილისში, სახალხო გვარდიელს ვერაფერ ახსენებს, ვინაიდან ამისთვის მოგველით «ჩეკის» სარდაფი და ხანგრძლივი ციხე. ასეთ პირობებში აბა ვინ შესძლებდა, ან გაბედავდა გაეხსენებია გვარდიის დღე, შემოეკრიბა მისი დროშის ქვეშ თფილისის პროლეტარიატი და ერის გლოვის ათი თვის თავზე მოეგონებია დამპყრობელთათვის, რომ საქართველოს დემოკრატია მიუხედავთ სასტიკი რეპრესიებისა, არ მომკვდარა, მას ქედი არ მოუხრია უტბო ძალთა წინაშე და არც შერიგებია თავის ბედს. ასეთი აქტი გამოიწვევდა სისხლის ღვრას, რომელიც ასე სწეურით — დამპყრობელთ, ის ხელს გაუხსნიდა მოსულ ძალას და ერთხელ კიდევ გულს იჯერებდნ ქართველი ხალხის აობრებით.

ციხეებში მომწყვდეული, ტყეებში და მთებში თავშეფარებული გვარდიელები 1921 წ. 12 დეკემბერს ხვდებოდნ მდუმარეთ, ერთმანეთზე დაშორებულნი, მხოლოდ მომავლის იმედით, საქართველოს აღდგენის და აღორძინების რწმენით. ამ დღეს არც თვით საოკუპაციო ძალებს შეუწუხებიათ თავი. ისინი მეტად დარწმუნებული იცვენ, რომ სახალხო გვარდიის ხსენებას მანიც ვერ გაბედავდა ხალხი, რომ ციხეები საიმედოთ ინახავდა ათასობით ტყვეებს და ტყეებში გადახვეწილ ახალგაზრდებს კი ცოველი მაზრაში სდარაჯობდნ რუსეთის პოლკები.

მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა. გვარდიის დღე იღვესასწაულა თფილისმა. ამ დღეს ძმათა სასაფლაო მობრთო ურიცხვი ყვავილებით, დახცილ მებრძოლთა საფლაოებს ესმოდა მუქეპარე სიტყვები, მუხლ მოტრილი ხალხი ცრემლებით დიცს აძლევდა ბრძოლაში დაღუპულთ, გაისმოდა გლოვის გალობა და ეროვნული ჰიმნი...

სამჯერ იღვესასწაულა თფილისმა გვარდიის დღე. სამჯერ მოახდინა თავის არსებობის ხანაში თფილისის პროლეტარიატმა თავისი შეიარაღებული ძალების აღლუმში, სამჯერ ტაშს უკრავდა მებრძოლებს მთელი ხალხი და ესროდნ ყვავილებს, უქარგავდნ თაიგულებით, მაგრამ 1921 წ. 12 დეკემბერი განსაკუთრებული





იყო ყველა ამ დღესასწაულთა შორის, ის თავისი სიღრმით, თავისი შინაარსით, თავისი მნიშვნელობით უფრო დიდია, ვინემ ყველა წარსული დღესასწაულები ერთად აღებული, ის იმდის მთქმელია, უფრო დიდი იმედის ვინემ შეიარაღებული პოლკები და ზარბაზნებით და სანგრებით გამაგრებული პოზიციები.

ვინ იყო ეს ხალხი, რომ ასე უშიშრათ, ასე თავხედურათ, ასეთი შეუპოვარი გამბედაობით გამოვიდა ქუჩებზე, გაიარა თფილისი, შემოერთდა ნაძალადევის ძმათა სასაფლაოს, მოიხადა თავისი წმინდა ვალი და დასდო ფიცი. ფიცი მეტრძოლთა გზის ვაგრძელების.

ეს იყო მოზარდი თაობა...

მუშის და ხელოსნის შემოგლეჯილი შვილები, სოფლიდან ქალაქში სასწავლად მოსული ახალგაზრდები, ისინი ვისაც მამები ციხეებში ყავთ და ოჯახები შიმშილს განიცდიან, ისინი ვინაც არ იციან სბდ არიან თვისი მამები, რადგანაც მათ დენიან დამპყრობელნი, და ისინი, ვისაც მამები ბრძოლებში დაეხრათ. აი ვინ იყვენ ეს ახალგაზრდები.

მამებით დაობლებულნი, სამშობლოს უბედურებით მგლოვიარნი, დედის ცრემლებით გულშეწუხებულნი, მარჩენალს მოკლებულნი გამოვიდნენ ქუჩებზე და ერის გლოვა-გოდების წელს მივიდნენ მამების საფლავთან, რომ შვილების ვალი მოეხადათ და მათი ანდერძისთვის შეეფიცათ...

12 დეკემბერს, ასე 12 საათი იქნებოდა, რომ თფილისის სასწავლებლებში მოსწავლეებმა მოულოდნელათ მიატოვეს გაკვეთილები, გამოვიდნენ ქუჩებში და ყვავილებით ხელში ნაძალადევისკენ გაეშურენ. ისინი თითქო შეუმჩნევლად გაშორდნენ ქალაქის ქუჩებს. აბა ვინ იფიქრებდა, რომ ეს ახალგაზრდები, რომელნიც შკოლის სკამს არ მოშორებიათ, რომელთაც ბრძოლის არც ერთი საფეხური არ გაუვლიათ, გაბედავდნენ და კბილებამდე შეიარაღებულ დამპყრობელთა რაზმებს უშიშრათ გააპოზდნენ, წავიდოდნენ იმ მოვალეობის მოსახდელოთ, რისთვისაც მათ დედებს და მამებს ციხეები მოელოდათ და ერს კიდევ უფრო ალვირწახსნილი რეპრესიები დაატყდებოდა. ერთი საათის შემდეგ ნაძალადევის ძმათა სასაფლაო გაიყვინა ახალგაზრდობით. მოსწავლეები ყვავილებით რთავდნენ საფლავებს. ვაყები და ქალები

თვალ-ცრემლიანი უგლიან დახოცილ მეტრძოლებს და ყოველი მათგანი თავისებურათ, ბავშური გატაცებით და გულწრფელობით აძლევენ ფიცს, იმეორებენ ანდერძს, მამების მიერ დადებულ ანდერძებს...

აქ, ამ ზღვა ახალგაზრდობაში, არც ერთი მამა, არც ერთი დედა. ვინ იცის რამდენ დედას უნდოდა ნაძალადევის ქოხებიდან დღეს აქ მოსვლა ძმათა საფლავში მიბარებულ შვილისთვის ამბის მიტანა, მგლოვიარე გულის ცრემლებით შეეჯერება... ვინ იცის რამდენი სახალხო გვარდიელი იგონებს დღეს, დახოცილ ამხანაგებს და რამდენი ტუსაღი ციხეების სატყელებიდან გადაეშურებს საქართველოს მთებს და მათ თვალწინ როგორც სინემატოგრაფის ეკრანზე მირბიან სურათები დემოკრატიულ საქართველოს თავდაცვის ომებისა და დახოცილ ამხანაგებისა!

მაგრამ ნაძალადევი სდუმს. ის დარბეულია ცოველ მზრვიათ... ამ რაიონიდან როგორც ეშვლონები ისე გადაასახლეს მუშები ციხეებში, ბევრი გაიქცა, ბევრმაც სხვა უბნებს მიაშურა... საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის ქურა თითქო ჩააქრეს... მუშათა კლასის ასეთი დარბევა, თვით რუსეთის თვითმპყრობელობასაც კი შემშურდებოდა. რაც ვერ შესძლო შავმა რუსეთმა, უტიფრათ შეასრულა «წითელმა» რუსეთმა.

და ამ უღაბოში, სადაც ცოველ წუთს გესმის მხოლოდ რუსეთის სალდათების ჩექმის ხმა, ეს მოზღვავებული ახალგაზრდობა, ყვავილებით ხელში და ცრემლებით ათრთოლებულ თვალეობით, წარმოადგენდა იმ ოაზისს, რომელიც იმედის ნაპერწკლებათ ღვივის და მომავალზე ოცნებას გიასკეცებს...

ყვავილებმა დაფარა საფლავები... გაისმის სამგლოვიარო ხმა... მსხვერპლად დაეცით მწვავე ბრძოლაში—როგორც ერთი კაცი აღმოხდა მუხლ-მოყრილ ახალგაზრდობას და ცრემლში არეული სიტყვები მოეფინა მდუმარე სასაფლაოს...

რალაც განსაკუთრებული მწუხარება, რალაც განსაკუთრებული გრძობა დასტრიალებდა თავს ამ მოზარდ თაობას და მათი ცრემლები მთელ დაუსრულებელ მოგონებათა დიქრებს თავს ხვევდა სასაფლაოს... მაგრამ აი ადგა ეს ზღვა ხალხი, თვალეებზე მოიწმინდა ცრემლები, სახეზე გადაურბინა ღიმილმა, ბავშურმა ღიმილმა, და მოისმა გუგუნი:





«დიდება ზეცით კურთხეულს, დიდება ტურფა ივერსა» — თითქო საცივრის ხმა იყო, ქარხნიდან გათენებისას რომ ეძახის მუშებს, თითქო ნაძალადევის მთიდან 30 წლის განმავლობაში თავისუფლებისათვის დახოცილ მებრძოლთა შეერთებული ხმა უგალობდა ერს და მის შვილებს კვლავ თავისუფლებისთვის საბრძოლათ მოუწოდებდა...

და მართლაც ეს ხმა შეერთებული ხმა იყო ძველი და ახალ თაობის, შვილებმა ისწავლეს მამებისაგან და ბრძოლაში დამარცხებულ მამებს იმედით საფლავეში ჩასაჩხოდნ მათგანვე ნაანდერძვე თავისუფლების ხმას...

ერთვნილი ჰიპნი მიწდა... მისმა ხმამ ნაძალადევი გამოაღვიძა... საფლავებზე აიმაართა ტრიბუნა და ზედ გამოჩნდა ქაბუკი.

მამებმა შვილებს ანდერძი დაგვიდევს — დიწყო მან — ჩვენი ვალია ეს ანდერძი შევასრულოთ და დახოცილ მებრძოლთა ძვლებს ფიცი მივსცეთ, ფიცი მტკიცე, უშიშარი, რომ ჩვენ გვაგრძელებთ მათ გზას და სამშობლოსა და დემოკრატიისათვის ისევე ერთგულად დავდებთ თავს, როგორც ეს აქ განსვენებულ მამებმა მოიმოქმედეს. ჩვენი მამები ციხეებში სხედან, ჩვენი მამები ტყეებში და მთებში გახიზნულან, ჩვენი მამები დახოცილები დარჩნენ ბრძოლის ველებზე და დამპყრობელებმა მათ გვამებზე გადმოაბიჯეს, ხოლო მკვტრები ყვავ-ცორონებს უპატრონოთ დაუტოვეს. მთელი ქართველი ერი ძაძებშია შემოსილი და ცოველ ქოხს გლოვა დაუფლებია, დაპყრობილი ქვეყანა გმინავს მონობის უღელ ქვეშ, ხოლო უტხო ძალები და მოღალატენი დაპატრონებიან ჩვენს საუნჯეს და ურცხვათ გვძიძგნიან.

დღეს, ქართველი ერის გლოვის მეათე თვის თავზე, საქართველოს სახალხო გვარდიის დღეს, მოვედით ჩვენ აქ, რომ მოვიგონოთ დახოცილი მებრძოლები და მამათაგან დადებული ანდერძს ერთხელ კიდევ შევფიცოთ (ცველანი ხუხლს იყრიან და გაისმის: ვფიცავთ, ვფიცავთ.)

პირველ სიტყვას მოცვა მეორე, მეორეს მესამე, შემდეგ ლექსები და ახალგაზდათა ტრიბუნა როგორც საყვირი მოუხმობდა ათელ ერს, ფიცს აძლევდა მამებს და სამშობლოს იმედის გამოძახილს უგზავნიდა.

მთელი ორი საათი ვაგრძელდა ეს ანბავი... ქალაქში უკვე შეიტყვენ, რომ მოსწავლენი ძმა-

თა სასაფლაოზე იყრიდენ თავს. წესრჩენებრისა მკველნიც შეშფოთდენ.. დაფაცურდა «ჩეკაც».. მოსწავლენი კი აგრძელებდენ სიტყვებს, იმეორებდენ ფიცს, ათასფერათ ქარგავდენ ცავილებით ძმათა სასაფლაოს...

ვინ იცის რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს, ვინ იცის რით გათავდებოდა და რა ზომებს მიიღებდენ დამპყრობელნი ახალგაზღობის წინააღმდეგ, რომ ამ დროს სასაფლაოზე არ მისულიყო ნაძალადეველი ორი მუშა, რომლებმაც თფილისის პროლეტარიატის სახელით მაღლობა გადაუხადეს ახალგაზღობას და უსურვეს მხნეთ ბრძოლის გაგრძელება სამშობლოს გასანთავისუფლებათ. შემდეგ კი ურჩიეს დაშლილიცვენ, ვინაიდან დამპყრობელნი რეპრესიულ ზომებს მიმართავდენ და ზედმეტ მსხვერპლს შეიწირავდენ.

სულ 4 საათზე ახალგაზღობამ ნელა იწყო დაშლა სასაფლაოდან. დარჩა მხოლოდ ურციხეი თაიგულები და ჰაიერში კიდევ გაისმოდა ადგნებული სიტყვები მამებისადმი ერთგულების ფიცისა.

იმ დღიდანვე შეუდგენ ოკუპანტები ფიცხელ გამოძიებას. სასწავლებლებში დაგზავნეს «ჩეკას» აგენტები და დაკითხეს როგორც მასწავლებლებს, ისე შეგირდებს. ეძებენ ხელმძღვანელებს, მოთავეებს, მაგრამ ახალგაზღობამ ამ შემთხვევაშიდაც განსაკუთრებული ერთსულოვნება გამოიჩინა. ცველა ერთ და იმავეს უპასუხებდა, ცველა მტკიცდო იდგა თავის აზრზე, რომ მათ მოიხადეს მამებისადმი და სამშობლოსადმი წმინდა მოვალეობა.

1921 წ. 12 დეკემბერი ღირსშესანიშნავი დღეა ქართველი ერის ცხოვრებაში. ამ დღეს სრულიად გამოაშკარავდა დამპყრობელთადმი უდიდესი სიძულვილი და ქართველ ერის დემოკრატიას რეზრვში ჩაუდგა მისი შვილები, მონავალი თაობა, რომელმაც ფიცი დასდო დახოცილთა საფლავებთან და საქართველოს მომავლის განთავისუფლების ხმა შესძახა. დამპყრობელებმა ერს გლოვის საშვალეობაც მოუსპეს, დედებს შვილების საფლავთან ცრემლების დაფრქვევა აუკრალეს, მაგრამ ახალგაზღობამ, რომელსაც ჯერ არც უნახავთ ბრძოლის სიმწვავე, პირველებმა შეაშფოთეს ნაძალადენი და შეუპოვრათ დაიკავეს დახოცილთა ადგილები... ქართველ ერს ახალი მესაქე გაუჩნდა. ერის





დამოუკიდებლობის იდეაზე აღარწდილი, სამშობლოს სიყვარულის გრძნობით შეპყრობილი და დემოკრატიის პრინციპებისთვის თავდადებული, მოვიდა ახალი თაობა, რომელსაც ნამებმა უკვე გაუყვალეს გზა და მიუთითეს მიზანზე. და როცა ეს თაობა უკვე დავაყვაცებული, საკუთარი ძალით დაიმედებული, რეზერვიდან მოწინავე პოზიციებზე წაიწივს, ქართველი ერის ტრადიციაც დასრულებული იქნება, მის სახელმწიფოებრივ კედლებს ველარ შეანგრევენ მოლაღატეთა წინამძღოლობით შემოპყრილი ძალები.

ახალგაზრდა.

ბოლშევიკური ძროთლმსაჯულებს „საბჭოთა“ საქართველოში.

ბოლშევიკები ხშირად გავივრიან ჩქარ და სწორ სამართალზე, მაგრამ, როგორც ყოველთვის, — ამ შემთხვევაშიც — ეს დემაგოგია და სიტყვები მხოლოდ სინამდვილის მისაჩქმალავათ რჩება.

როგორც ვიცით, ბრალდებულის გასასამართლებლათ საჭიროა საქმის ყოველმხრივი და მიუდგომელი გამორკვევა. თვით გამომძიებელი უნდა იყოს აღჭურვილი ერთგვარ სამისსო ცოდნით, რითაც მას საშვალება მიეცემა ყოველმხრივი ანალიზი გაუკეთოს ჩადენილ დანაშაულს და დანაშაული საესებით გამოარკვიოს. საქართველოს «ჩეკამ» და 11 არმიის ვგრედ წოდებულ საგანგებო განყოფილებებში (ოსობი ფტდელ) სულ წინააღმდეგს ვხედავთ. ამ დაწესებულებებში იშვიათათ შეხვდებით გამომძიებლებს, რომელთაც საშვალება ჰქონდეთ სწორი ფიქსაცია გაუკეთონ ჩვენებას. გარდა იმისა, რომ გამომძიებელი მოკლებული არიან რამდენადმე მაინც შესაფერის განათლების ცენზს და სამსახურის სტაჟს, ხშირად არც მათი წარსული მოწმობს მათდა სასარგებლოთ. ამ ნაირად ადვილი გასაგებია ის, რომ ყოველივე ბრალდებულნი, მოხვდება თუ არა გამომძიებელთან, მაშინვე იგრძნობს თავს პირად მტერთან და არა მართლმსაჯულების წარმომადგენელთან. არავითარი კრიტიკიუმი გამომძიებლისა არ არსებობს «ჩეკის» გამომძიებლისათვის. მისი ერთად ერთი ცდაა ბრალდებულის გამტყუნება. ამისათვის, ის, როგორც იქნუ-

იტო, არავითარ საშვალებას არ ერიდება, რევილვერის გულზე მიბჯინება, სიკვდილით დასჯით დამუქრება, ფიზიკური შეურაცყოფა და ბევრი სხვა, აი ზომები, რომელსაც მიმართავს «ჩეკის» გამომძიებელი «სამართლის» გამოსაშვარავებლად. ხშირად გამომძიებელი გამოძიების დროს დახვრეტის სიმულიაციასაც მიმართავენ. გახდიან ბრალდებულს ტანზე, შეურავენ ხელებს, ჩასდებენ საბარგო ავტომობილში და გაჰყავთ ქალაქ გარეთ. გზაში კი გამომძიებელი ჩასჩირინებს, გამოტყდი და სიკვდილით დასჯისაგან გადაგარჩენო. მოქ. მ—მა განიცადა თავის თავზე ასეთი წამება. ერთ ასოთამწყობს ისე სცემა გამომძიებელმა რევილვერის ტარით, რომ ერთი გვერდი გაუტეხა. ბევრი ბრალდებულთაგანი, რომ თავი დაახვიოს ასეთ ტანჯვა-წამებას, აძლევს არა სწორ ჩვენებას და ბრალდებასაც იღებს საკუთარ თავზე, რომელიც მას არც დასიზრმებია. გამომძიება მომეტებით ღამით ხდება. გარდა აღნიშნულ ზომებისა გამომძიებელი მიმართავენ მრავალ გვარ ხერხს ბრალდებულის დასაფრთხობათ და მის სულიერ სიმშვიდის წასართმევათ. ასე მაგალითად, ცნობილი ათარ-ბეგოვი, რომელიც სახელ განთქმულია დამიანთა «პაჩკობით» ხერეტაში, შემდეგნაირად ექცევა ბრალდებულს: გამოიძახებს დამის 2 ან 3 საათზე კაბინეტში, დასაკითხავათ, აქ სრული სიწყნარვა. სარდაფიდან მიყვანილ ბრალდებულს კაბინეტში შესვლისას ერთხელ კიდევ—სჩხრეკენ. დაკთხვის დროს ოთარ-ბეგოვი ხშირად იცვლის კილოს: ხან მეგობრულად ბეასობს, ხან თმებში ავლებს ხელს, იძლევა პატიოსან კომუნისტურ—სიტყვას, ხან იფვირებს; შემდეგ უცებ შეჩერდება და გაუშტერებს თვალებს ბრალდებულს. კაბინეტში ჩამოვარდება სრული სიწყნარე. ამ დროს სამისოთ მაგიდაზე მომზადებულ თუნუქის ფირფიტას ჰქრავს ხელს შეუქმნეულად. თუნუქი საშინელი ხრილით ეხეტქება იატაკზე. შემკრთალი ბრალდებული უეცრივ წამოვარდება ზეზე. ხმაურობის გამოძახილი შენობის სხვა კაბინეტებიდანაც ისმის. ოთარ-ბეგოვი კი მსწრაფლ განავრძობს კითხვების მიცემას ერთ-მეორეზე. ბრალდებული ვერ ართმევს თავს კითხვათა გროვას და ხშირად იძლევა ისეთ პასუხს, რომ გორიც გამომძიებელსა ჰსურს.

გასამართლება კი ისეთ პირობებში ხდება,





რომ ბრალდებულს ეკარგება საღიანოვნების საშვალეობა და სიკვდილის შიშით შეპყრობილი საშინელ სულიერ ტანჯვას განიცდის, ერთი სიტყვიტ იმდენად შეიცვალა გამოძიების დროს, რომ სარდაფში დაბრუნებისას ამხანაგებმა ვერც იცნო. საწყალი სრულიად გათეთრებულიყო რამდენიმე საათის განმავლობაში. კობე პინეის ბებერია შემთხვევა, როცა ბრალდებული სრულიად დაუკითხავად ისჯება. პირებები, რგონელშია იმყოფებიან ტუსალები, კალმით აუწერელია. ითვტონაგ მინიშიძის იუბენიხონაგ ერთი სიტყვიტ «ჩეკა» და «საგანგებო განყოფილებები» მთელი თავისი საშინელებით დაჯერ არანახულ ველურობით მიცვალბულის სუდარასავით დასწოლია თავს თავისუფლების მოყვარულ საქართველოს მშრომელ კლასს. ცხოვრების უკუღმართობამ ასე იწება, რომ რასაც საქართველოს მუშათა კლასის სახელით ეპაჩიან «საბჭოთა მართლმსაჯულებას», სინამდვილეში საქართველოს მშრომელი ხალხის განადგურებაა.

დევნილი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამ. საზოგადოების დაკუთხვა.

ქართველ კულტურულ მოძრაობასაც საბოლოოთ ლიკვიდაციას უშვებინან. მოსპეს რა კომუნისტებმა ყოველგვარი კულტურული ორგანიზაციების გამომცემლობა, ამ ბოლოს გაანადგურეს ქართ. შორ. წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოება. საზოგადოება დაარსდა 1879 წ. მაისში, ამ დროიდან საზოგადოებამ საქართველოში და საქართველოს გარეთაც დაარსა შკოლები, ბიბლიოტეკა-სამკითხველოები, გამომცემლობა. თითქმის ყველა ჩამორჩენილ კუთხეებში შეიჭრა და გააფართოვა გამანათლებელი მუშაობა. სისტემატიურად ბეჭდავდა იაფ ფურსებში სამეცნიერო, საშკოლო, სალიტერატურო, საისტორიო წიგნებს და ავრცელებდა. ინახავდა თავისი სტიბენდიებით მოსწავლეებს, ზრდიდა ღარიბ მოსწავლეებსაც. დაარსა აგრეთვე ძველ-ხელთ ნაწერთა წიგნთ-საცემ-მუზეუმი, საქართველოს კულტურის ერთ-ერთი საგანდურია.

ადვილად გასაგები იცა, როცა ამ საზოგადოებას ძველი თვითპყრობელობის წარმომად-

გენლები ებრძოდენ, მაგრამ წ. კობე სახ. მტკიცე მოტი წლის განმავლობაში შეუდრეკლად იდგა ეროვნული კულტურის სადარაჯოზე და მხნეთ იგერიებდა რუსიფიკატორების თავდასხმას. ქართველი ხალხი განუზომელი პატივისცემით ეპყრობოდა ამ საზოგადოებას და ეხმარებოდა. ყველა მდიდი მწერალი ანდერძათ თავის თხზულებებს, ბიბლიოთეკებს და ზოგჯერ მთელ თავის ქონებასაც მას სწირავდა.

საქ. დამოუკიდებლობის გამოცხადებრიდან წ. კ. გ. ს. თვისი სკოლები და სამკითხველოები საქარ. მთავრობას გადასცა და გაორკეცებული ძალებით შეუდგა წიგნების იაფად გამოცემას. მიუხედავად დიდი კრიზისისა საზოგადოებამ 1920 წელს შესძლო 50 მსხვილი ტომის გამოცემა.

დემოკრ. რესპუბ. მთავრობა კი ეხმარებოდა ნივთიერადაც.

საქართველოს დაპყრობიდან დაიწყო ბოლშევიკურ ხელისუფლებისაგან წერაკითხვის საზოგადოების მოსპობა. განთლების კომისარიატმა გამოაცხადა, რომ კერძო კულტურული დაწესებულებები განათლების კომისარიატს ექვემდებარება, მათ შორის წ. კ. გამ. საზოგადოებაც. თუმცა საზოგადოების გამგეობა და ამჟინდეს ზეპირი განმარტებით, «შევიძლიათ ავტონომიურად იმოქმედოთ, მხოლოდ განუწვევტილივი კონტაქტი უნდა დაიკოროთ განათ. კომისარიატთან და მისი კანტრაოლის ქვეშ დადგეთო.»

საზ. გამგეობამ განიზრახა ამ პირობებშიაც მუშაობა, იოზოვა წიგნების დასაბეჭდათ ნებართვა, მაგრამ ცენზურამ უარი უთბრა, სადაც კი იბეჭდებოდა საზოგადოების თაფსნობით სუყველა შეაჩერეს, მხოლოდ რიი წიგნაკის დაბეჭდვის ნება მისცეს ბოლომდე. ხშირათ განათ. კომისარიატი დართავდა ნებას გამოცვათ წიგნი, მაგრამ ვინმე ბაგდაუტი ევი (სომეხი) გრუკავროსტას სათავეში მდგომი, აკრძალავდა. აკრძალეს სხვათა შორის ცნობილი მწერლის ა. ყანბგის თხზულების და «დედა-ენის» დაბეჭდაც. საზოგადოების მრავალჯერ ჩივილის შემდეგ დაიბარეს გამგეობის წარმომადგენლები მათთან ერთათ მდგომარეობის გამოსარკვევით, ხელახლა აღუთქვეს ავტონომია და მთითხოვეს კონტაქტის დამყარება სახ. განათლების კომისარ-





როცა თანამდებობები დაპირებებს უკვე წინააღმდეგობა მოუყვამ, დაბეჭდეს საზოგადოების წიგნის მძლავრი და განცუვლარობა. როცა საზოგადოების წარმომადგენელმა იკითხა დაკავების მიზეზები, მათ განუცხადეს იმით რომ დავეტეთ, რომ წიგნები არ გამოცხადებულა. რეგულაციის თავმჯდომარესთან მისვლის და თხოვნის შემდეგ განკარგულება გაუცხადეს დაკავების შესახებ. ეს მოხდა, მაგრამ მაშინვე საზოგადოებას ჩამოართვეს რაც კი ქალაქში იქნებოდა. ამით მოუსპვეს რეპროდუქციის წიგნების გამოცემის საშუალება, ხოლო სახ. გან. კომისარიატმა წაიღო უფასოთა უკვე სახელმძღვანელო, მხოლოდ შემდეგ საუბრითავე წიგნები 800.000,000 მანეთისა. ამ განკარგვის შემდეგ გან. კომისარიატმა დაიბარა საზოგადოების წარმომადგენლები დურთი-ერთობის გამოსასრულებად და აღუთქვა ავტონომია და ხელის შეწყობა, მხოლოდ ბეჭდვის წინასწარი დასტურით. ამავე დროს გამოიცა განკარგულება ბეჭდვის და ვაჭრობის თავისუფლების შესახებ, რის შემდეგ საზოგადოებას იმედი მიეცა მუშაობისა, მაგრამ საზოგადოებამ უკანასკნელ ხანებში მიიღო განკარგულება სახ. განათ. კომისიის, რის ძალით საზოგადოება სრულიად იკეტება.

აი, ასეთი ბედი ეწვია საქართველოს უდიდეს კულტურულ საზოგადოებას. ის, რაც ვერ მოსპვეს ნიკოლოზის რეჟიმის სულის ჩამდგმელებმა ჩვენში, მოსპვეს კომუნისტებმა.

**ქართველი სტუდენტობა და ბოლშევიკები.**

**თფ. სახელ. უნივერ. სტუდენტობის მიმართვა ქართველ საზოგადოებისადმი.**

ბოლშევიკები ვერავის ვერ ითმენენ, ვინც მათ ბრმათ არ ემორჩილება, მათ სურვილს არ ასრულებს. ესევე მოსთხოვეს ბოლშევიკებმა ქართველ სტუდენტობას. ამ უკანასკნელმა ზათი ბრძანება არ შესასრულა და ამის შემდეგ ჩეკაც შეიჭრა უნივერსიტეტის კედლებში. თუ როგორ მდგომარეობაშია ქართ. უნივერსიტეტი, ამას მკითხველი დაინახავს ქვემო მოცემული წერილიდან, რომელიც მოთავსებულია სტუდენტების ბიულეტენში.

**სტუდენტობის ვარშემო დიდი განგაშია**

სტუდენტობის ვარშემო დიდი განგაშია ვარშემო დიდი კოლმუნისტურ პრესაში, (რომელიც ერთადერთი ლეგალური პრესაა საქართველოში) წერილები წერილებზე ცხვება და აქ სტუდენტობას ბრალდება ყველა შვიდი მომავლენის ევთროვანება. მეორეს მხრივ სტუდენტური ორგანიზაციები რეპროდუქციულად და იურიდიულადც გაუქმებულია და სტუდენტობის ბედს, ცხოვრებებს მართავს განათლების კომისარიატის მიერ დანიშნული დროებითი საბჭო. რაშია საქმე? რან გამოიწვია ასეთი რისხვა სტუდენტობის თავზე? საზოგადოებაში ამის შესახებ დიდი მოთქმა-მობქმა და ამიტომ ამის გაშუქება შესაძლებელია დასაძირდა. ჩვენს სახელდასხვლო გამოცემა სწორედ ამას ემსახურება; მის მიზანია გაურკვევს მთელს ქართველ მოწინავე საზოგადოებას და მუშათა კლასებს ამბები. პირველად გუგლისა ხან გასმით უნდა იქნეს აღნიშნული; რომ სტუდენტობა გამგეობის დაშლას და სასადალოს გამგეობის უზოგირთ წევრთა დატყვევებას სრულიად არ ქონის საფუძვლად ის, თითქოს იქ რამე ბოროტ მოქმედება მომხდარიყოს. ეს სტუდენტობის მოწინააღმდეგეთა მიერ უეცრად შეითხნილი ჭირია და მას უხლა თვით კომუნისტური წრეებიც კი არაფითარ მნიშვნელობას არ აძლევენ; ისინი აღარ მალავენ, რომ გამგეობის დაშლას პოლიტიკური საბაბი ქონდა, რომ იმით ისინი ილაშქრებდნენ სტუდენტობის დეონტოლოგიური უციონურია ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც ვითოდდა რაღაც ანტი-სახელმწიფოებრივ მოქმედებას აწარმოებდა უნივერსიტეტის კედლებში. ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ უნივერსიტეტის კედლებში გამგეობის ასეთ მოღვაწეობის ნიშნებზე ვომუნისტები ვერ მიგვითხოვენ. უნივერსიტეტის სტუდენტური ორგანიზაციები უმთავრესად ეკონომიურ და კულტურულ-აკადემიურ გაკითხვების ირგვლივ მუშაობდნენ. ასეთ პირობებში სტუდენტობას სრული საბუთი ქონდა ენქრა, რომ მისი პროფესიონალური ორგანიზაციის ავტონომია დაკული იქნება, რომ მას თავის მუშაობის წარმოების საშუალება მიეცემა, მაგრამ ეს მოლოდინი გამტყუნდა. ამის ასახსნელად ჩვენ მხოლოდ



ერთად-ერთი მიზეზი შეიძლება მოვსძებნოთ. ეს არის ადგილობრივ კომფრაქციის მოღვაწეობა და მისი სურვილი—გახდეს უნივერსიტეტის სტუდენტების იდეური გეგმონი. იგი ამას ცდილობდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია თავისი შემადგენლობის სრული ინტელექტუალური და მორალური სიდატაკის გამო, და აგრეთვე იმიტომაც, რომ არავითარი ნიადაგი არ ქონდა ქართველ სტუდენტობაში. ამის შემდეგ ეს მცირე რიცხოვანი ჯგუფი, ნახევრად «რენეგატებისაგან» შემდგარი და მათ კულში მაჩანჩალა ეგრედ წოდებული მემარტხენე (უკეთ რომ ითქვას სამარტხენო) ფედერალისტები—ჩუმაღ, მალულად კულუარებში ეწეოდნენ სტუდენტობის წინააღმდეგ აგიტაციას, ხელოვნურად ამწვავებდნენ ურთიერთობას სახელმწიფო ორგანოებსა და სტუდენტობას შორის და შავის ფერებით ღებავდნენ მას.

რასაკვირველია, ამ თავისებურმა «დანოსჩიკობამ», რომელსაც პროვოკატორობის სუნი უდის, შედეგები გამოიღო და სწორედ ეს არის მომხდარ ამბების უმთავრესი მიზეზი.

ამ ქამად ასეთი მდგომარეობა—გამგეობა დაშლილია, სასადილო წაგვერთვა, მისი გამგეობის წევრების ნაწილი დატუსაღებულია \*) ყოველივე ეს შეიძლება არა სასურველ შედეგებს გამოიღებდა, მაგრამ რადგანაც ეს ხდება შეგნებულ სტუდენტობის წრეში, ამიტომ სტუდენტობა ყოველივე ძალდონეს ხმარობს, რომ ადგილი არ ექნეს არავითარ მანვნ გართულებას.

მიუხედავად ასეთი გამწვავებული მდგომარეობისა ჩვენ მაინც ეცდილობთ მივაღწიოთ რაიმე დადებით შედეგებს, არ გადაუწვიოთ სწორ გზას, რომელზედაც სიარულს გვიკარნახებს დამოუკიდებელ საქართველოს სიყვარული და მშობლიურ კულტურის ტაძრის უნივერსიტეტის ინტერესების დაცვის მოსაზრებანი. ქართული უნივერსიტეტის სტუდენტობა, როგორც ერთი კაცი, სდგას თავის უფლებების სადარაჯოზე, ჩვენ ჩვენსას არავის მივცემთ, სხვისი არც რამ გვინდა, სტუდენტთა ორგანიზაციების არჩევნების, კრებების თავისუფლება

\*) ბიულეტენის შედგენამდე ნაწილი სასადილოს გამგეობისა ციხიდან გამოშვებულ იქნა. ისინი კლავ დაპატიმრეს. ამ ქამად ციხეშია სასადილოს გამგეობა და მთავარი გამგეობის ნაწილი.

და სხვა. უფლებები მოპოვებული თითქმის ნახევარ საუკუნის ბრძოლის განმავლობაში და მას ვერ დასთმობს საქართველოს რევოლიუციონური სტუდენტობა.

ამ ქამად ყველა ამის დასაცავად ჩვენ მოვიტხოვრებთ შემდეგს: სტუდენტობის უფლებები დაცულ იქნეს, დატუსაღებული ამხანაგები გამოშვებული, კრებების თავისუფლება უნდა აღსდგეს, გამგეობა უნდა საზოგადო კრებაზე აირჩეს და მომავლისათვის სტუდენტობის ბედზე არავითარი გავლენა აღარ უნდა ქონდეს «წედა პალატებს» ყოველგვარი «კომიაჩიკების» დაფარულ მოღვაწეობას.

ეს არის ჩვენი პოზიცია, ამის ირგვლივ ჩვენ გვიხდება ბრძოლა და ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს მოწინავე წრეების თანაგრძნობა ჩვენს მხარეზე იქნება. ეს რწმენა, გვამაგრებს და გვამხნევებს ჩვენ.

**1. დელეგაცია.**

სასადილოს გამგეობის წევრების დატუსაღების გამო, ორშაბათს 19 დეკემბერს, მოხდა სტუდენტების შრავალ-რიცხოვანი საზოგადო კრება, რომლებზედაც ახრთა გაცვლა-გამოცვლის და სათანადო რეზოლუციის გამოტანის შემდეგ არჩეულ იქნა 5 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია, რომლებსაც მოლაპარაკება უნდა გამართა განათლების კომისარიატთან. დელეგაციამ დიდის წვალცის შემდეგ მოახერხა კომისარის ნახვა და დაიწყო მოლაპარაკება სტუდენტთა ორგანიზაციების და დატუსაღებულ ამხანაგთა განთავისუფლების შესახებ.

მოლაპარაკების პროცესში გამოირკვა, რომ სტუდენტურ ორგანიზაციების აღდგენის და ამხანაგების განთავისუფლების აუცილებელ პირობათ კომისარიატი და მისი რწმუნებული ჯაფარიძე გამგეობაში კომუნისტებისათვის რამოდენიმე ადგილის დათმობას სთვლიდნენ, რადგანაც მათი განცხადების თანახმად, არჩევნების წესით შეოთხედ კაცსაც ვერ გავიცვანთო; ასე აფასებენ ისინი თავის ძალებს!

**2. სასადილოს ბოიკოტი.**

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობამ ამხანაგების დატუსაღების და სასადილოს ჩამართმევის გამო ნიშნად პროტესტისა, სასადილოს ერთ დღეს ბოიკოტი გამოუცხადა. ეს ბოიკოტი შესანიშნავად ჩატარდა და ამ დღეს





არც ერთ ქართველ სტუდენტს სასადილოში არ უსადილნი.

**3. სასადილოს საკითხი.**

სასადილო სტუდენტობას საბოლოოდ ჩამოერთვა და განათლების კომისარიატის საკუთრებად გამოცხადდა, თუ არ შევვებით იმას, რომ ეს დაუშვებელი დარღვევა კომუნისტების მიერ აღიარებულ პრინციპებისა და ახალ ეკონომიურ პოლიტიკის, ეს არის დარღვევა ყოველგვარ იურიდიულ ნორმების, სასადილოს ქონება ეს სტუდენტობის ოფლითა და შრომით შექმნილი ქონება იცო. იგი მისი კოლექტიურ ერთეულის საკუთრებას წარმოადგენდა და ეს ნაბიჯი ცხად ძალდატანება-ძალმომხრეობას წარმოადგენს.

**4. «დროებითი საბჭო».**

განათლების კომისარიატის მიერ დანიშნული «დროებითი საბჭო» უნივერსიტეტში არც კი გამოჩენილა. მას არავინ არ სცნობდა და ანგარიშს არ უწევდა. ასეთი მდგომარეობა ამ ქამათ გრძელდება. რასაც თვალსაჩინოდ უწყობს ხელს თვით ამ «საბჭოს» პერსონალურად უღირსი შემადგენლობა და მისი სამარცხვინო თავმჯდომარე ბ-ნი ანტიოს ასათიანი.

სტუდენტობის დიდი ნაწილი ბოიკოტს უცხადებს ამ პირებს და მთლად რიყავს მათ თავის წრიდან. ამას თვით პასუხისმგებელი კომუნისტებიც კი გრძნობენ და პირად განცხადებებში აღიარებენ.

**28 დეკ. საგანგებო საზოგადო კრება.**

28 დეკემბერს საღამოს 5 საათზე სტუდენტურ ორგანიზაციების და დატუსაღებულ ამხანაგების ბედის გამოურკვევლობის გამო აღელვებულმა სტუდენტობის მრავალრიცხოვანმა მასსამ თავი მოიყარა დერეფანში და წარსულ კრებაზე არჩეულ დელეგაციას მოსთხოვა მოხსენება საქმის მსვლელობის შესახებ, დელეგაციამ მიუხედავად იმისა, რომ განათლების კომისარიატის მიერ აკრძალული იყო საზოგადო კრების მოწვევა და რომ ეს უსათუოდ გაამწვევებდა მდგომარეობას, ანგარიში გაუწია სტუდენტობის კატეგორიულ მოთხოვნილებას და იძულებული იყო გაეცნო კრებისათვის საქმის ვითარება.

მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი: სტუდენტობის და საბჭოთა ხელისუფლების შორის

ურთიერთობას ამწვევებს უნივერსიტეტის კომფრაქცია, ცალბი ცნობების მიწოდებით და გადაჭარბებულ მოთხოვნილებების წარდგენით. ამასთანავე მხოლოდ ამ კომფრაქციის მოქმედებით შეიძლება აიხსნას სასადილოს გამგეობის წევრების დატუსაღება, რასაც ეს ვაჟბატონები ზოგჯერ პოლიტიკური მიზეზებით და ზოგჯერ კი ბოროტ-მოქმედებაზე მითითებით ამართლებენ. მოხსენებიდან გამოირკვა ის, რომ განათლების კომისარიატის სახელით დაეთანხმა კომფრაქციას, უარყო სტუდენტობასთან შეთანხმება, მიუხედავად მაქსიმალური დათმობისა სტუდენტობის მხრივ, და განუსაზღვრელ დროისთვის გადასდო გაუქმებული ორგანიზაციების და დატუსაღებულ ამხანაგების განთავისუფლების საკითხის გადაწყვეტა.

მოხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს ყველა უნივერსიტეტში არსებულმა ფრაქციებმა და კამათის პროცესში აშკარად გამოირკვა ორი ბანაკი: ერთი ადგილობრივი კომფრაქციის და მეორე მხარეს მთელი დანარჩენი სტუდენტობა უპარტიოების გამოუკლებლივ, რომლებსაც აერთებდა სტუდენტური აღშფოთება იმ ძალმომხრეობის წინააღმდეგ, რომლითაც კომიაჩეიკა ემუქრებოდა მთელ სტუდენტობას და მის წარმომადგენლებს. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ორი ხმის წინააღმდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საგანგებო საზოგადო კრებამ, რომელიც შესდგა 28 დეკემბერს 1921 წელს, მოისმინა რადელეგაციის მოხსენება რომლიდანაც გამოირკვა:

1. რომ დატირებული ამხანაგები ჯერ კიდევ არ არის განთავისუფლებულნი.
2. რომ სტუდენტთა ორგანიზაციების ავტონომიაზე ლაპარაკი განათლების კომისარის აზრით ზედმეტია.
3. რომ ძველი გამგეობა სტუდენტთა საზოგადო კრების მიერ არჩეული, დაშლილია და მის ნაცვლად მოვლინებულია დანიშნული საბჭო.
4. რომ ამ ქამად სტუდენტობა მოკლებულია საშვალებას ახალი კანონიერი გამგეობა აირჩიოს და დელეგაციის ლეველი ცდა ამ მხრივ შეთანხმების მიღწევისა, კომიაჩეიკის გადაჭარბებული პრეტენზიების გამო, ჩაშლილი იქნა და ამასთანავე მიიღო რა მხედველობაში, რომ





სასადილოს გამგეობა დაპატიმრებულ იქნა არა ბრძოლა-მოქმედებათა გამო, არამედ პოლიტიკურ ნიადაგზე, რაც სხვათა შორის იქიდანაც ცხადად სჩანს, რომ სასადილოს გამგე შემარცხენე ფედერალისტისათვის ხელი არავის უხლია, რომ სტუდენტთა მიერ არჩეული კანონიერი გამგეობის დაშლა და სტუდენტობის სათავეში (თუნდაც დროებით) დანიშნული საბჭოს დაყენება სტუდენტობის უღლებრივ და მოხალაურ შეხედულებასთან აბსოლუტურად მიუღებელია.

საზოგადოებრივ კრებას კროტეს აცხადებს ქალმომრეობის ასეთი აქტებს წინააღმდეგ, განმეორებით მოითხოვს დაპატიმრებულ ამხანაგების განთავისუფლებას და უცხადებს დანიშნულ საბჭოს სრულ უნდობლობას.

აღსანიშნავია კომუნისტების პოლიტიკური სივსგლანე და სრული უსუსურობა; როდესაც არ გასჭრა შთმა მუქარამ და სრული დამარცხება განიცადეს, მაშინ განაცხადეს, რომ კროტესტის ნიშნად ვსტოვებთ კრებასო და ამისაქენ მოუწოდებდნენ შემარცხენე ფედერალისტებს და უპარტიო სტუდენტობას. მაგრამ მათ არამც თუ ვერ გაიფიქრეს უპარტიოები (უკანასკნელთა წარმომადგენელმა ოფიციალურ განცხადებაში მხარი დაუჭირა რეზოლიუციას) არამედ თითონაც ვერ შეასრულეს თავისი დადგენილება. მათი ერთი «მნიშვნელოვანი» ნაწილი კრებაზე დარჩა და რეზოლიუციის წინააღმდეგ მიცემული ორი ხმა სწორეთ შთა ეკუთვნოდა.

ამ უკანასკნელმა კრებამ აშკარად დაანახვაველას თუ რა მცირე გავლენა აქვთ სტუდენტობაში კომუნისტებს და რა მტკიცედ და ერთსულოვნად რეკავს მათ სტუდენტობა თავის რიგებიდან.

კრება, რომელსაც დაესწრო 2,000 სტუდენტზე მეტი დასრულდა ეროვნული ჰიმნის «დღეების» სიმღერით და ძახილით «გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს».

უნივერსიტეტის ამბების შესახებ ჩვენ შევეცდებით მომავალშიაც მივაწვდინოთ ჩვენი ხმა ქართველ საზოგადოებას.

**სახელმწიფო უნივერსაბ. სტუდენტობა.**

(სტულ. ბულეტენი № 1)

**ამხანაგების სსოკვნას**

ჩვენი ურუნალის ნომერი აწოდბლი იყო, როდესაც საქართველოდან მივიღეთ თავნარდამცემი ამბავი: «დავკარგეთ საუკეთესო ამხანაგები—ლეო ნათაძე, მამო ბერიანიძე და სეთ რაზმაძე».

პირველი ციხეში არ ცოდბლია დაჭერილი მავრამ ტრფმა, რომელიც მთელ თფილისშია მოდებული, იმსხვერპლა, ხალო ორი უკანასკნელი ბოლშევიკების ციხემ შეიწირა, იქ დალიეს სული.

ძნელია იმ მწუხარების გამოთქმა, რომელსაც საუკეთესო მებრძოლების დაკარგვა იწვევს ჩვენში.

ძნელია იმ აზრის შერიგება, რომ აღარ არსებობენ ისინი, რომლებიც ათეული წლები სოც.-დემოკრატიული პარტიის წინა რიგებში იდგენ, მუშათა კლასის ბრძოლას ხელმძღვანელობდენ, მის იდეებს ემსახურებოდენ და მისთვის იღვწოდენ.

და აღარ არიან სწორეთ მაშინ, როცა საქართველოს დემოკრატია, მუშათა კლასი და მთელი ერი უსაშინელეს ქალმომრეობას, დევნას და შევიწროებას განიცდის შემოსეული მტრისაგან. როდესაც საუკეთესო რევოლიუციონერები, მოწინავე მუშები, გლეხები და მოსწავლე ახალგაზრდობა ციხეებში და «ჩეკის» სარდაფებშია ჩაყრილი. როდესაც შავი ძაძებით შემოხილი სამშობლო თავის ყოთფულ შვილთ ავლოებს—მტარვალთა ბრწყალენისაგან განთავისუფლებას!

ლიახ, ძნელია ამ აზრის შერიგება!

აღარ გვცავს ამხანაგი ლეო, ვეღარ ვნახავთ მის დინჯსა და სპეტაკ სახეს. ვეღარ წავიკითხავთ ჩვენი გახეთის ფურცლებზე მის უკვიანზურ წერილებს, ფელეტონებს!

ამხ. ლეოში საქართველოს დემოკრატიამ, მუშათა კლასმა დაკარგა ერთი საუკეთესო თავისი მასწავლებელი და ხელმძღვანელი.

მან იგი უნდა იგლოვოს, მაგრამ ამავე დროს უნდა იბრძოლოს, ვინაიდან ამას ავალებს დაქარგული ამხანაგის წარსული და ხსოვნა. ლეომ მთელი თვისი ახალგაზრდობა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში გაატარა და საქართველოს მუშათა კლასს შეუძლია იმამცავს ამ მებრძოლს.



ძლივით, ვინაიდან მისი დროშა ამხ. ლეოს ხელში არ შებლალულა, იგი მუდამ ამაყათ ფრიალებდა.

შავ სამარეს ახარია ამხ. მაშოც, მოწინავე ამხანაგი მუშათა წრიდან გამოსული; დაუღალავი რევოლიუციონერი, მუშების პარტიასთან დამაკავშირებელი და მისი ჭირისა და ლხინის მუდამ გამხიარებელი.

სამუდამოთ დაგვშორდა ამხანაგი სეითი— წყნარი, დინჯი და უმწიკვლო მუშაკი. ჯალათებმა ციხეში ჩაკლეს ის, ვინც ქალაქის მუშებსა და სოფლის გლეხობას ერთმანეთთან აახლოვებდა და აკავშირებდა და რომელსაც რაქის დემოკრატია განსაკუთრებით, იმედებით შეეუბრებდა.

ბოლშევიკებმა კი, «მუშებისა და გლეხების» მთავრობის სახელით ეს იმედი წაართვეს მას!

აი ვინ იყვენ ამხ. ლეო, მაშო და სეითი! ვინ შიბაბრა შავ სამარეს ქართველმა ხალხმა!

მაგრამ ამაოთ ფიქრობენ ბოლშევიკების ჯალათები ქართველი ხალხის ამით გატეხას, მის დამორჩილებასა და დაგლახაკებას.

ქართველ ხალხს არა ერთი და ორი მებრძოლი დაუკარგავს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ იარაღი არასოდეს არ დაუტრია.

ასე ხდება ეხლაც. ამის საუკეთესო დამამტკიცებელი 11 თებერვალია, როდესაც მთელი საქართველო შაგი დროშებით მოირთო და ქართველმა ხალხმა დამპყრობელთ წევგლა-კრულვა შეუთვალა.

ამ დღეს ქუჩაში გამოსულ მებრძოლთ, წინ უძღოდათ სამშობლოსათვის დაღუპულ ამხანაგების არდრი, ხლოვნა და პატივისცემა.

და მათ არასოდეს არ დაივიწყებს ქართველი ერი. ამ დაივიწყებს არც ამხ. ლეოს, მაშოსა და სეითს, ვინაიდან ისინი მებრძოლთა პირველ რიგში იდგენ ყოველთვის.

### სამკლავიარო წყრილი.

გულდათუთქული დავსტრით ორ ძვირდას მეგობრის ლეო ნათაძის და მაშო ბერიანის უდროვოთ დაკარგვას. პროლეტაროტს გამოაკლდა ორი თანაშეზრდილი მებრძოლი, ძველი რევოლიუციონერი, ჩვენ კი საუკეთესო ამხანაგები.

რ. არსენიძე, ი. ჭავჭავაძე, ვ. უღენტი, ვ. ქარცივაძე, ვ. წულაძე, კ. კუმბურიძე, ნ. ხომერიკი, დ. შარაშიძე, კ. გვარჯალაძე, რ. ყიფიანი, კ. სულაქველიძე, ნ. ელიავა, მ. და ნ. რუსია, ემ. ლომთათიძე, არძაყან ემუხვარი, ვ. ჯულიელი.

## არჩილ მექანარიშვილი

ბერლინიდან, სამწუხარო ცნობა მივიღეთ: თებერვლის პირველ რიცხვებში ქ. მანგვიმში თავი მოიკლა არჩილ მექანარიშვილი.

ამხ. არჩილი იყო ნიჭიერი ახალგაზრდა და მომავლის დიდ იმედებს იძლეოდა. ის ჯერ კიდევ გიმნაზიელი ჩაება ახალგაზრდა მარქსისტათ მოძრაობაში და სულ მალე ამ მოძრაობის ერთი მეთაურთაგანი გახდა. ბუნებით ნიჭიერი, სპეტაკი და შრომის მოკვარე არჩილი ცვლას ცურადლებასა და პატივისცემას იმსახურებდა. ის ერთი ზეღმძღვენელთაგანი იყო ახალ. მარქსისტების ყურ. (ახ. კვალის.) თებერვლის რევოლიუციის შემდეგ სიც. დემ. პარტიის მუშაობის ასპარეზი ერთი ათათ გადაართვდა და გაიზარდა. ცხოვრება ახალ ახალ ძალებს მოითხოვდა ჩვენგან. განსაკუთრებით ვიგბრძენით ეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. და აი, ახალ. მარქსისტთა ორგანიზაციამ პარტიას მისცა რამდენიმე მომუშავე და მათ შორის ამხ. არჩილიც. იგი მთელი თავისი არსებით ჩაება მუშაობაში. მუშაობდა პარტიის ცენტრალურ ორგანოში «ერთობაში» და სხვაგან, რითაც სულ მალე დაიმსახურა ამხანაგების ცურადლება.

საქართველოს მთავრობამ გადასწყვიტა გაეგზავნა რამდენიმე ახალგაზრდა ევროპაში სპეციალური ცოდნის შესაძენათ, რომ ამით ახალგაზრდა რესპუბლიკას მიმეტებოდა ცოდნით აღჭურვილი მომუშავე ძალები. ამ რჩეულთა რიცხვში მოხვდა ამხ. არჩილიც და ორი წლის წინეთ სწავბთან ერთათ ისიც გაემგზავრა ევროპაში სწავლის გასაგრძელებლათ იმ იმედით, რომ შეიძენდა რა ცოდნას, დაბრუნდებოდა სამშობლოში და მთელი თავისი არსებოთ ჩაეგბეებოდა საზოგადოებრივ მუშაობაში.

სამწუხაროთ ეს ასე არ მოხდა. მან ტრალიკულათ დაათავა თარია ხანმოკლე ცხოვრება. იგი ჭლექმა შეიპარა და გაწამებულ ხანგრძლივ სიცოცხლეს თავის მოკვლა ამჯობინა. ეს კიდევ უფრო უკლავს გულს მის ამხანაგებსა და მეგობრებს.

ამხ. არჩილის დაკარგვა კიდევ მეტათ დააღონებს საქართველოში მყოფ ახალგაზრდობას, რომელიც ახალგაზღური თავდავიწყებით ებრძვის ბოლშევიკების ძალ-მომრეობას და რომელიც დიდ იმედებს ამყარებს უცხოეთში წასულ თავის ამხანაგებზე. მშვიდობით ძვირდასა ამხანაგო!



# საქართველოს ამბები.

**ნაციონალური გლოვის დღე საქართველოში.** 11 თებერვალს შესრულდა მოსკოვის ჯარების საქართველოზე ავანაკურათ თავდასხმის ერთი წელი. ამ დღეს შემოუსიეს რუსის ჯარები საქართველოს დემოკრატიას ქართველი ერის მოღალატეებმა—მახარაძე-ორჯონიძე-ორახელაშვილებმა. ამიტომ ეს დღე მთელ ერში იწვევს მწარე მოგონებებს და წყევლა-კრულვას უთვლის მოსკოვის იმპერიალისტებსა და ქართველ ბოლშევიკებს. ბოლშევიკებმა ეს იციან და ამიტომ წინასწარ მიიღეს გამაფრთხილებელი ზომები: 8-9 და 10 თებერვალს დაიკვირეს ინტელიგენციის დიდი ნაწილი, მუშები, მოსწავლე ახალგაზღვბი და ქართველი მოხელეები. ისინი ამით არ დაკმაყოფილდნ და ქალაქის და დაბების ქუჩებში რუსის არმიელები ჩააყენეს. მიუხედავად ამისა, მთელ საქართველოში მოხდა საპროტესტო დემონსტრაციები, ხალხი შავი დროშებით გამოვიდა, ქუჩებში გამართეს მიტინგები და წყევლა-კრულვას უთვლიდნ მოსკოვის დიქტატორებს, ქართველ ბოლშევიკებს, მოითხოვდნ რუსის ჯარის გაყვანას და იმდროდნ ქართულ კომნს. გამოსვლებმა ბევრგან მეტათ მწვავე ხასიათი მიიღო; თფილისში დილიდან საღამოს 5 საათამდის სროლა იყო ქუჩებში, ასევე მოხდა ბათუმში. აქ დემონსტრანტებმა სტუმეს რევიკომის თავმჯდომარეს გაზბარინცს. ლანჩხუთში ბოლშევიკებმა «ბორნევიკ» მატარებლიდან დაუშინეს მანიფესტანტებს. კომისრების მთავრობა ცველგან დაიბნა. ზოგიერთი ადგლებიდან კიდევ გაიქცენ. ხონი მთელი დღის განმავლობაში დემონსტრანტების ხელში იყო. ქუთაისში მილიცია დაიშალა. ბოლშევიკებმა დემონსტრანტების წინააღმდეგ ცველგან რუსის წითელი არმიელები და კურსანტები გამოიცივანეს, ქართველ ჯარსა და მილიციას ვერ ენდვენ. ბათუმში გამაგრებული რაიონის უფროსმა რემიზოვმა ქართული ლაშქრის ნაწილების განიარაღება მოითხოვა რევიკომიდან. 11 და 12 თებერვალს შეწყვეტილი იყო ბათუმსა და თფილის შორის მატარებლის მიმოსვლა. დახურეს სასწავლებლები. დაწვრილებით შემდეგ ნომერში.

**ეკონომიური ანარქია და ცხოვრების სიძვირი.** საქართველოს ქალაქებში საშინელი შიმ-

შილი და ანარქია დაიწყო. 8-9 თებერვალს სანოვგე და საქონელი სრულიად გაქრა თფილისის ბაზრიდან. ხალხი რუსის ფულს არ იღებდა, ქართული ფული სამჯერ მეტათ ფასობდა მასზე. პირველათ რევიკომმა ცველა ფულის კურსი გაათანასწორა, მაგრამ მერე იძულებული შეიქნა ეს ბრძანება გაეუქმებია. რუსის ფულის კურსის დაცემა რუსეთის წითელ არმიელებს აბრაზებს, ამ ნიადაგზე ისინი პავრობებს ახდენენ, ვაჭრებს ხოცავენ. 9 თებერვალს რუსმა არმიელებმა 7 ვაჭარი მოკლეს თფილისში. მაღაზიები დაკეტეს. ამ ხანში გირვანქა პური 60 ათასი მან. ღირდა, შაქარი—105 ათასი, მჟადის ფქვილი ფუთი—ნახევარი მილიონი. თურქული ღირა რუსულ ფულზე 1<sup>1</sup>/<sub>2</sub>. ქართულზე—300 ათასი. 8-9-10 თებერვ. ხალხი ცველგან პურს მოითხოვდა, მოელოდნ პოგრომს. საბჭოთა ხელის უფლება დაიბნა და არ იცის რა ქნას.

**ტუსალების მდგომარეობა.** დაპრობილ საქართველოს ციხეებში ტუსალთა მდგომარეობა საშინელი და აუწერელია: საკნებს არ ათობენ, ქვეშავებელს არ აძლევენ, საავათმლოფოში წამალი არ არის და არავითარი მოვლა იქ ტუსაღს არ აქვს. 24, 25 და 26 იანვარს თფილისის ციხეებში სურსათის უქონლობის გამო ტუსაღებს საჭმელი ვერ მისცეს. არ არის დაცული სისუფთავე და ეს იმ დროს, როცა «ტიფი» საშინლათ მძვინვარებს. მან უკვე შეიწირა რამდენიმე პოლიტიკური ტუსალი. ამას გარდა ბოლშევიკებმა ციხეში რეპრესიები გააძლიერეს. პოლიტიკურ ტუსაღს ცოველ ფეხის გადადგმაზე დასდევს ზედამხედველი. 28 იან. საგ. ციხის საავათმლოფოში გადაიცივალა ს. რაზმაძე, მძიმე ავათ არის დამ. კრების წევრი ის. კვარაცხელია, თფილისელი მუშა ბროძელი, რომელსაც ჩეკაში ჯდომით ნერვები აქვს აშლილი და ილო მაისურაძე.

**ნაც.-დემოკრატების დატუსალება.** თფილისში დაატუსაღეს ნაც.-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელები: ს. კეღია, აღ. ასათიანი, დ. ვაჩნაძე, ი. ლორთქიფანიძე და სხვები.

**ივ. გამართელის ავათმყოფობა.** საქართველოდან მიღებული ცნობით მძიმე ავათ გახდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, დამფ. კრების წევრი ექიმი ივანე გამართელი და მისი მღგომარეობა მეტათ საშიშია.